

## სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“

2022 წლის ფინანსური ანგარიშგების, საგადასახადო რისკების,  
შესყიდვების, ხელშეკრულებებისა და მაუწყებლის  
თანამშრომლებთან არსებული შრომით-სამართლებრივი  
ურთიერთობების შესაბამისობის აუდიტორული  
შეფასების ანგარიში

ბათუმი  
2023

## სარჩევი

### ნაწილი I

#### ფინანსური ანგარიშგების აუდიტი

1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშის (ბალანსი) აუდიტი	3
2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგების აუდიტი	5
3. ორგანიზაციის კაპიტალში ცვლილებების აუდიტი	7
4. ძირითად საშუალებებთან დაკავშირებულ ოპერაციათა აუდიტი	8
5. მოთხოვნებისა და ვალდებულებების აუდიტი	11

### ნაწილი II

#### 2022 წლის საგადასახადო რისკების აუდიტი

1. გადასახადების აღრიცხვისა და დეკლარირების სისწორის დადგენა	13
2. მოგების გადასახადი	14
3. საშემოსავლო გადასახადი	15
4. დამატებული ღირებულების გადასახადი	17
5. ქონების გადასახადი	19

### ნაწილი III

#### 2022 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონთან შესაბამისობის სისწორის დადგენა

21

### ნაწილი IV

#### 2022 წლის განმავლობაში ხელშეკრულებების, გრანტების, მემორანდუმებისა და სხვა გარიგებების საფუძველზე (გაცვლითი ოპერაცია/ბარტერი, იჯარა) განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობა მარეგულირებელ კანონმდებლობასთან

39

### ნაწილი V

#### მაუწყებლის თანამშრომლებთან არსებული შრომითი სამართლებრივი ურთიერთობების (ბრძანება, ხელშეკრულება, შეთანხმება) შესაბამისობა

• მოქმედ კანონმდებლობასთან	49
• მაუწყებლის დებულებასთან	49
• სამსახურების დებულებებთან	49
• შრომით კონტრაქტებში გაწერილი ფუნქცია-მოვალეობებისა და ფაქტიურად განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობა	49

# ნაწილი I

## ფინანსური ანგარიშგების აუდიტი

### 1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშის (ბალანსი) აუდიტი

#### შესრულებული სამუშაო

ორგანიზაციის ბალანსის აუდიტი გულისხმობს სსიპ-ებისათვის მოქმედი საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა (სსბასს1 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“) და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 04 თებერვლის №24 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის („ინსტრუქცია საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ - შემდგომში „ინსტრუქცია №24“) დადგენილი ნორმებისა და წესების დაცვის შემოწმებას ორგანიზაციის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების (ბალანსის) შედგენის დროს. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახაბი მუხლების ჩამონათვალი განსაზღვრულია ინსტრუქცია №24-ის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (ბალანსი) 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც ეყრდნობა საბუღალტრო პროგრამის მონაცემებსა და ორგანიზაციის მიერ გაცხადებულ ანგარიშგებას:

#### ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრისათვის

/ლარი/

აქტივები	2022	2021
<b>მოკლევადიანი აქტივები</b>		
მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები	1.323.185	552.707
მატერიალური მარაგები	183.459	158.639
სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები	11.274	11.482
<b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>	<b>1.517.918</b>	<b>722.828</b>
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>		
ძირითადი აქტივები	10.125.887	9.938.085
არამატერიალური აქტივები	1.101.204	1.050.352
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>	<b>11.227.091</b>	<b>10.988.437</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>12.745.009</b>	<b>11.711.265</b>
<b>ვალდებულებები</b>		
<b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>		
მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	22.332	20.348
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	57.446	12.479
<b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>	<b>79.778</b>	<b>32.827</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>79.778</b>	<b>32.827</b>
<b>წმინდა აქტივები/კაპიტალი</b>		
გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი	12.665.231	11.678.438
<b>სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი</b>	<b>12.665.231</b>	<b>11.678.438</b>
<b>სულ ვალდებულებები და წმინდა აქტივები/კაპიტალი</b>	<b>12.745.009</b>	<b>11.711.265</b>

წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშის (ბალანსის) მიხედვით, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სულ აქტივები შეადგენს **12.745.009** ლარს, მათ შორის:

მოკლევადიანი აქტივები **1.517.918** ლარი, აქედან: მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები - **1.323.185** ლარი, მატერიალური მარაგები - **183.459** ლარი, სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები - **11.274** ლარი.

გრძელვადიანი აქტივები **11.277.091** ლარი, აქედან: ძირითადი აქტივები - **10.125.887** ლარი, არამატერიალური აქტივები - **1.101.204** ლარი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სულ ვალდებულებები და წმინდა აქტივები/კაპიტალი შეადგენს **12.745.009** ლარს, მათ შორის:

მოკლევადიანი ვალდებულებები **79.778** ლარი, აქედან: კრედიტორული დავალენება **22.332** ლარი, სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები **57.446** ლარი.

სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი - **12.665.231** ლარი.

### **დასკვნა**

ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შედგენილია ინსტრუქცია №24 -ის მოთხოვნათა დაცვით (ინსტრუქცია №24, მუხლი №12 „ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (ბალანსი)“, პუნქტი 3). აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგებაში გამოიჯნულია მოკლევადიან და გრძელვადიან მუხლებად და სტრუქტურა შედგენილია ლიკვიდობის კლებადობის მიხედვით.

შემოწმების დროს ჩვენს მიერ არ ყოფილა გამოვლენილი არსებითი ფაქტები, რომლებიც დაადასტურებდნენ ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შეუსაბამობას ინსტრუქცია №24 -ის მუხლი №12, სსბასს1 -ის (პუნქტები 70-87) მოთხოვნებთან და საქართველოს რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედ კანონმდებლობასთან, კერძოდ:

ფინანსური აქტივი და ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ, რაც ორგანიზაცია ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელშეკრულებო ვალდებულების მონაწილე. ფინანსური აქტივების ჩამოწერა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება სახელშეკრულებო უფლება ფინანსური სარგებლის მიღების შესახებ. ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება როდესაც ვალდებულება იფარება, უქმდება ან მისი საციცოცხლო ვადა სრულდება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება მათი ნომინალური ღირებულებით: კერძოდ, მიმდინარე (სავაჭრო და სხვა მოთხოვნები) აღიარებულია იმ თანხით, რა თანხაზეც მოხდა დებიტორთან შეთანხმება, ხოლო მიმდინარე ვალდებულებების (სავაჭრო და სხვა ვალდებულებები) აღიარდება იმ თანხით, რა თანხაზეც მოხდა შეთანხმება კრედიტორთან.

ჩატარებული აუდიტით დადგინდა, რომ ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების (ბალანსი) ზემოაღნიშნული მონაცემები შესაბამისობაშია ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან და შედგენილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №24 („ინსტრუქცია საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“, 2021 წლის 4 თებერვალი, ქ. თბილისი) დამტკიცებული ფორმის (ფორმა №1) მიხედვით. ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი) თან ერთვის აუდიტის ანგარიშს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მოვიპოვეთ საფუძვლიანი რწმუნებულებები, რომ ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, იგი არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში.

## 2. ფინანსური შედეგების ანგარიშგების აუდიტი

### შესრულებული სამუშაო

ორგანიზაციის ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგების აუდიტი გულისხმობს სსიპ-ებისათვის მოქმედი საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა (სსბასს1 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“) და ინსტრუქცია №24 დადგენილი ნორმებისა და წესების დაცვის შემოწმებას ორგანიზაციის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ნამეტი/დეფიციტის (ფინანსური შედეგები) ანგარიშგების შედგენის პროცესში. ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში ასასახი მუხლების ჩამონათვალი და ანგარიშის შედგენის წესი განსაზღვრულია სსბასს 1 -ის 99-117 პუნქტებისა და ინსტრუქცია №24, მუხლი №13 -ით („ფინანსური შედეგების ანგარიშგება“).

ფინანსური შედეგების ანგარიშგების ანგარიში - ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია, რომელიც ახასიათებს ორგანიზაციის საოპერაციო საქმიანობის ფინანსურ შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ანგარიშგება წლიურია. მასში აისახება საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგები, რომელიც გაიანგარიშება შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობით. არსებობს ფინანსური შედეგების წარდგენის ორი მეთოდი: ხარჯების ეკონომიკური შინაარსის მიხედვით დაჯგუფების მეთოდი (სსბასს 1, პუნქტი 112.) და ხარჯების კლასიფიკაცია ფუნქციების მიხედვით სსბასს1, პუნქტი 113.). არჩევანი უნდა გაკეთდეს იმ მეთოდზე, რომელიც უფრო საიმედო და შესაბამის ინფორმაციას იძლევა.

ორგანიზაციის მიერ ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება მზადდება როგორც საბიუჯეტო, ასევე ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მიღებული/გაწეული შემოსავლების და ხარჯების მონაწილეობით. ანგარიშის შედგენისას მონაცემები შემოსავლებსა და ხარჯებზე აისახება დარიცხვის მეთოდით, ხოლო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება - საკასო მეთოდით. შესადარისობის მიზნით ყველა მაჩვენებელი აგრეთვე აისახება საანგარიშგებო წლის წინა წლის მონაცემების მიხედვით. მონაცემები აღებულ უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშებიდან.

ქვემოთ მოცემულია ორგანიზაციის ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც ეყრდნობა საბუღალტრო პროგრამის მონაცემებსა და ორგანიზაციის მიერ გაცხადებულ ანგარიშგებას:

### 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური შედეგების ანგარიშგება (ეკონომიკური შინაარსის მიხედვით)

შემოსავლები	2022	2021
შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით	2.767	430
შემოსავლები გრანტებით	12.327.000	10.806.176
შემოსავლები შიდა ტრანსფერებით	12.327.000	10.380.000
შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან გარდა პროცენტისა და გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებისა	124.538	136.327
გაუფასურების უკუგატარებით შემოსავლები	18.230	5.903
სხვადასხვა შემოსავლები	103	27
<b>სულ შემოსავლები</b>	<b>24.799.638</b>	<b>21.328.863</b>



ხარჯები	2021	2021
შრომის ანაზღაურება	1.867.551	1.808.604
საქონელი და მომსახურება	7.812.265	7.172.691
გრანტები	12.327.000	10.544.698
ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები	198.489	164.699
ცვეთა და ამორტიზაცია	1.499.756	1.312.760
სოციალური დახმარება/უზრუნველყოფა	91.955	92.155
გაუფასურების ხარჯები	15.757	4.079
სხვადასხვა ხარჯები	72	48
<b>სულ ხარჯები</b>	<b>23.812.845</b>	<b>20.935.036</b>
<b>პერიოდის ნამეტი / (დეფიციტი)</b>	<b>986.793</b>	<b>393.827</b>

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციამ მიიღო ნამეტი **986.793** ლარის ოდენობით.

### დასკვნა

შემოწმების დროს ჩვენს მიერ არ ყოფილა გამოვლენილი არსებითი ფაქტები, რომლებიც დაადასტურებდნენ ორგანიზაციის მოგება-ზარალის (ფინანსური შედეგი) ანგარიშგების ინსტრუქცია №24 -ის მოთხოვნათა და სსბასს1-ის მოთხოვნათა დაცვით.

შემოწმების დროს ჩვენს მიერ არ ყოფილა გამოვლენილი არსებითი ფაქტები, რომლებიც დაადასტურებდნენ ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შეუსაბამობას ინსტრუქცია №24 -ის მუხლი №13 „ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებისა“ და სსბასს1 -ის 99-117 პუნქტების მოთხოვნებთან, კერძოდ:

ჩატარებული აუდიტით დადგინდა, რომ ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ნამეტი/დეფიციტის ანგარიშგების (ფინანსური შედეგი) ზემოაღნიშნული მონაცემები შესაბამისობაშია ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან და შედგენილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №24 („ინსტრუქცია საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“, 2021 წლის 4 თებერვალი, ქ. თბილისი) დამტკიცებული ფორმის (ფორმა №2) მიხედვით. ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი) თან ერთვის აუდიტის ანგარიშს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მოვიპოვეთ საფუძვლიანი რწმუნებულებები, რომ ორგანიზაციის მოგება-ზარალის ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, იგი არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში.

### 3. ორგანიზაციის კაპიტალში ცვლილებების აუდიტი

#### შესრულებული სამუშაო

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია საანგარიშგებო პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება. ერთეულმა ფინანსურ ანგარიშგებაში ისეთი ინფორმაცია უნდა გააშუქოს, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელმა შეძლოს კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული ერთეულის მიზნების, პოლიტიკისა და პროცედურების შეფასება. ორგანიზაციის კაპიტალში ცვლილებების აუდიტის მიზანია იმის დაგენა, შეესაბამება თუ არა კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება სსბასს1 და ინსტრუქცია №24-ით განსაზღვრულ მოთხოვნებს. საკუთარი კაპიტალი არის ორგანიზაციის აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. ორგანიზაციის საკუთარ კაპიტალში ცვლილებები მოცემულია ცხრილში, რომელიც ეყრდნობა ორგანიზაციის ბუღალტრული პროგრამის მონაცემებსა და ორგანიზაციის გაცხადებულ ანგარიშგებას:

#### წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგება

<b>საწყისი ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის</b>	<b>11.678.438</b>
სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები	-
არსებითი შეცდომების კორექტორები (წინა პერიოდების შეცდომები)	-
<b>გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი</b>	<b>11.678.438</b>
<b>წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილება</b>	<b>986.793</b>
დამფუძნებლების შენატანები	-
პერიოდის ნამეტი (დეფიციტი)	986.793
დამფუძნებლებზე გადახდილი თანხები	-
<b>საბოლოო ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის</b>	<b>12.665.231</b>

ორგანიზაციამ საანგარიშგებო პერიოდში მიიღო ნამეტი **986.793** ლარის ოდენობით, რამაც გამოიწვია საკუთარი კაპიტალის გაზრდა და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საკუთარმა კაპიტალმა ჯამში შეადგინა - **12.745.009** ლარი.

#### დასკვნა

ჩვენს მიერ შემოწმდა ორგანიზაციის საკუთარი კაპიტალის მოძრაობა და მისი აღრიცხვის შესაბამისობა სსბასს 1 (პუნქტი 118.) და ინსტრუქცია №24-ით (მუხლი №14 -წმინდა აქტივების / კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება) განსაზღვრულ მოთხოვნებთან. შემოწმების პროცესში ჩვენს მიერ არ ყოფილა გამოვლენილი არსებითი ფაქტები, რომლებიც დაადასტურებდნენ კაპიტალის ცვლილებების აღრიცხვის შეუსაბამობა სსბასს 1, ინსტრუქცია №24 და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №24 („ინსტრუქცია საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“, 2021 წლის 4 თებერვალი, ქ. თბილისი) დამტკიცებული ფორმის (ფორმა №4) მიხედვით. ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი) თან ერთვის აუდიტის ანგარიშს

აქვე აღვნიშნავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მოვიპოვეთ საფუძვლიანი რწმუნებულებები, რომ კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, იგი არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში.

#### 4. ძირითად საშუალებებთან დაკავშირებულ ოპერაციათა აუდიტი

ძირითადი საშუალებები საწარმოს განკარგულებაში არსებული მატერიალური აქტივებია, რომელსაც ორგანიზაცია იყენებს წარმოებაში, მომსახურებაში, იჯარით გასაცემად, ადმინისტრაციული მიზნებისათვის და გამოიყენება ერთ წელზე მეტი ხნის ვადით.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვის წესს საჯარო სექტორში განსაზღვრავს სსბასს 17. ძირითადი საშუალებების აღრიცხვაში წამყვანი საკითხებია:

- აქტივების აღიარება;
- მათი საბალანსო ღირებულების განსაზღვრა;
- ცვეთის თანხებისა და გაუფასურების ზარალის აღიარება.

საჯარო სექტორში ობიექტი ითვლება აქტივად, როდესაც მასზე საკუთრების უფლება მოპოვებულია და მომავალში შეუძლია ეკონომიკური სარგებლის მოტანა, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იღებს სარგებელს ამ აქტივებიდან. საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციით ძირითადი აქტივები განსაზღვრულია როგორც წარმოებული აქტივები, რომლებიც ერთ წელზე მეტი დროის განმავლობაში მრავალჯერადად ან განუწყვეტლივ გამოიყენება წარმოების ან მომსახურების პროცესში და რომელთა ღირებულებაც შეადგენს 500 ლარსა და მეტს.

##### *შესრულებული სამუშაო*

ორგანიზაციის ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული ოპერაციების აუდიტის მიზანია იმის დაგენა, შეესაბამება თუ არა ოპერაციების აღრიცხვა სსბასს 1 და ინსტრუქცია №24-ით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ინსტრუქცია №24 - ის საფუძველზე ფინანსურ აღრიცხვაში ძირითადი საშუალებები წარმოადგენენ გრძელვადიანი აქტივების ნაწილს, ხოლო მათ აღსარიცხად გამოიყენება 1-20-0000 (ძვ.2100) ანგარიში, რომელიც იყოფა შესაბამის ანგარიშებად და ქვეანგარიშებად. ყოველი ქვეანგარიში შეესაბამება საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული არაფინანსური აქტივების ცალკეულ ჯგუფს.

ძირითადი აქტივი პირველადი ასახვის შემდგომ აღირიცხება მისი საბალანსო ღირებულებით, რომელიც მიიღება ყველა იმ ცვლილების გათვალისწინებით, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მათი მიღების შემდეგ. აქტივის პირვანდელ ღირებულებაში ცვლილებებს ძირითადად იწვევს მათი ექსპლუატაცია, რომელიც აღირიცხება, როგორც ძირითადი კაპიტალის მოხმარება და დანახარჯები, რომლებიც გაიწევა აქტივების არსებით გაუმჯობესებაზე.

ცვეთადი და ამორტიზირებადი აქტივების და აკუმულირებული (დაგროვილი) ცვეთის საწყისი ნაშთების ბუღალტრულ ჩანაწერებში/ბარათებზე ასახვასთან დაკავშირებით, არაფინანსური აქტივების საწყისი საბალანსო ღირებულება განსაზღვრულია „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 02 დეკემბრის №289 ბრძანების მეცხრე მუხლის, პირველი პუნქტის, ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების აუდიტი ტარდება იმ გათვლებით, რომ უზრუნველყოფილი იყოს საკმარისი დამაჯერებლობა იმისა, რომ სააღრიცხვო ინფორმაცია შეესაბამება ძირითადი საშუალებების რეალურ მდგომარეობას. ამ მიზნით აუდიტორული შემოწმების ჩატარების პროცესში შესრულებული იქნა შემდეგი სახის შემოწმება:



- ✓ რეგისტრირებულია თუ არა ძირითადი საშუალებები (ავტომანქანა /ავტომანქანები და სხვა ტექნიკა, რომელიც საჭიროებს სახელმწიფო რეგისტრაციას) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ✓ ხომ არ არის გარზდილი ამორტიზაციის ნორმები, რომელიც გამოიყენება საამორტიზაციო ანარიცხების დარიცხვის დროს (ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა);
- ✓ შემოწმდა ძირითადი საშუალებების ფიზიკურად არსებობა;
- ✓ შემოწმდა ძირითადი საშუალებები რეესტრის წარმოება;
- ✓ შემოწმდა სააღრიცხვო ჩანაწერებისა და ორგანიზაციის საბალანსო მონაცემების შესაბამისობა;
- ✓ შემოწმდა ძირითადი საშუალებების შემოსვლისა და გასვლის ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის სისწორე;
- ✓ შემოწმდა ძირითად საშუალებებზე განხორციელებული ოპერაციების პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის არსებობა;

ძირითადი საშუალებების მოძრაობასთან დაკავშირებული ოპერაციების ჯამური შედეგები აისახება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №24 („ინსტრუქცია საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“, 2021 წლის 4 თებერვალი, ქ. თბილისი) დამტკიცებული ფორმის/დანართის (შენიშვნა №6 - №11; ) მიხედვით.

ძირითადი საშუალებების ნაშთი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში შეადგენდა - **10.988.437** ლარს. ძირითადი საშუალებების ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეადგენს - **11.125.887** ლარს.

ძირითად საშუალებებზე ფინანსური ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვისათვის გამოიყენება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ (საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 02 დეკემბრის ბრძანება №289) ინსტრუქციაში მოცემული ნორმები.

ძირითადი აქტივების აუდიტის დროს განხილული იყო 2022 წლის ინვენტარიზაციის შედეგები. 2021 წლის ინვენტარიზაციის შედეგებში კომისამ აღნიშნა და კვლავ აღნიშნავს, რომ გახშირდა ტექნიკის დროზე ადრე ჩამოწერის აუცილებლობა, რაც ძირითადად გამოწვეულია აქტივების ინტენსიური გამოყენებისა და ექსპლუატაციის წესების დარღვევით. გარდა ამისა არ ექცევა სათანადო ყურადღება გამოყენებაში მყოფი ტექნიკის კომპლექტაციის მდგომარეობას (კერძოდ, მათი შემადგენელი ნაწილების მწყობრიდან გასვლის გამო). დროულად არ ხდება დაზიანებაზე აქტის (ტექნიკური) შედგენა, არ არის ტექნიკის გამოყენების და მათზე სათანადო ნაწილების შექმნის აუცილებლობის დასაბუთება (ნაადრევად ჩამოწერის მიზეზის დადგენა ხშირ შემთხვევაში არ ხდება შესაბამის სერვისცენტრებში ტექნიკური აქტის ან სხვა სახის წერილობითი საბუთების შედგენის გზით). აუცილებელია აქტივის ექსპლუატაციაში ჩაშვებამდე პასუხისმგებელმა პირმა მაუწყებლის დირექტორის 2019 წლის 28 თებერვლის №02/03/04 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული ტექნიკური საშუალებების გამოყენების რეგლამენტი“-ს შესაბამისად, სამსახურების, განყოფილებების უფროსებმა მათ დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომელს დეტალურად გააცნონ აქტივის სწორი ექსპლუატაციის წესები და აღნიშნული ხელმოწერით დაადასტურებინონ, არ უნდა განხორციელდეს მაუწყებლის ბალანსზე რიცხული აქტივ(ებ)ის გადაადგილება პასუხისმგებელ

პირებთან შეთანხმების გარეშე და სხვა, რაც პრაქტიკულად არ ხორციელდება. აგრეთვე კომისია აღნიშნავს საწყობიდან ძირითადი აქტივების, მცირეფასიანი საგნებისა და მარაგ-ნაწილების გატანის წესის უხეშად დარღვევის შემთხვევების შესახებ (ვიზირებული მოთხოვნის გარეშე, გატანის განხორციელება), რაც ხელს უშლის არსებული რეგულაციების მოქმედებას.

ძირითადი აქტივების მოძრაობის შესახებ კრებსითი ინფორმაცია მოცემულია დანართების/შენიშვნების №6 - №11 -ში.

განმარტებით ბარათში, რომელიც თან ერთვის ფინანსურ ანგარიშგებას გაშიფრულია ბალანსის დანართებში/შენიშვნებში მოცემული ინფორმაცია.

### **დასკვნა**

ჩვენს მიერ შემოწმდა ორგანიზაციის ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული ოპერაციების აღრიცხვის შესაბამისობა სსბასს 17-ითა და ინსტრუქცია №24-ით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. შემოწმების პროცესში ჩვენს მიერ არ ყოფილა გამოვლენილი არსებითი ფაქტები, რომლებიც დაადასტურებდნენ ორგანიზაციის ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული ოპერაციების აღრიცხვის შეუსაბამობას სსბასს 17, ინსტრუქცია №24 და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №24 („ინსტრუქცია საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“, 2021 წლის 4 თებერვალი, ქ. თბილისი) დამტკიცებული ძირითადი საშუალებების მოძრაობის ამსახველი დანართების/შენიშვნების შევსების წესთან. ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული და გაცხადებული ორგანიზაციის ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული ოპერაციების აღრიცხვის შესახებ ანგარიშგება თან ერთვის აუდიტის ანგარიშს.

## 5. მოთხოვნებისა და ვალდებულებების აუდიტი

მოთხოვნებისა და ვალდებულებები (დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები) გულისხმობს იმ მოთხოვნებისა და ვალდებულებებს, რომელთა დაფარვის ვადა არ აღემატება 12 თვეს. დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების დროული დაფარვის უზრუნველყოფა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ორგანიზაციის გადახდისუნარიანობაზე. ამიტომ მათი მართვა და კონტროლი ერთ-ერთი არსებითი საკითხია ორგანიზაციის ფინანსურ მმართველობაში. დებიტორული დავალიანებები წარმოიშობა საქონლის ან მომსახურების კრედიტით გაყიდვის შემთხვევაში.

### *შესრულებული სამუშაო*

ჩვენს მიერ აუდიტის განხორციელების პროცესში შესწავლილი იქნა ორგანიზაციის დებიტორები. დებიტორული დავალიანების წარმოქმნის საფუძველია მომსახურების გამწვევი ორგანიზაციებისათვის თანხების გადახდა ავანსად მათ მიერ მომსახურების შემდგომში მიწოდების პირობებით.

ორგანიზაციის დებიტორული დავალიანებების შესახებ ჯამური ინფორმაცია მოცემულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №24 - ით დამტკიცებულ დანართებში/შენიშვნებში №2ა; №4-№5. დებიტორული დავალიანების ჯამური თანხა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს - **54.388** ლარს. აქედან საანგარიშო წლის დებიტორული დავალიანება შეადგენს - **10.456** ლარს (19,22%), 2021 წლის დებიტორული დავალიანება შეადგენს - **3.850** ლარს (7,08%), 2020 წლის დებიტორული დავალიანება შეადგენს - **1.650** ლარს (3,03%), 2019 წლის დებიტორული დავალიანება შეადგენს - **28.768** ლარს (52,89%), ხოლო წინა წლ(ებ)ის დებიტორული დავალიანება შეადგენს **9.664** ლარს (17,77%).

ორგანიზაციას აქვს გასული წლების (2014, 2015, 2018, 2019, 2020, 2021) მოთხოვნები, რომლებიც ჯერ კიდევ არ დაფარულა. აღნიშნული დებიტორული დავალიანებების ამოღებაზე ორგანიზაციის მიერ თანმიმდევრულად განხორციელებულია ყველა იურიდიული პროცედურა.

ჩვენს მიერ აუდიტის განხორციელების პროცესში შესწავლილი იქნა ორგანიზაციის კრედიტორები. კრედიტორული დავალიანების წარმოქმნის საფუძველია მომწოდებლისაგან საქონლის/მომსახურების მიღება კრედიტით (შემდგომში გადახდის პირობით).

ვალდებულებები საქონლისა და მომსახურების მიწოდებით წარმოიშობა საქონლის, ნედლეულისა და მასალების შესყიდვისას, სხვადასხვა სახის მომსახურების გაწევისას, სამუშაოს შესრულებისას და სხვ. ორგანიზაციების საქმიანობის პროცესში განხორციელებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვები მიეკუთვნება სახელმწიფო შესყიდვებს. სახელმწიფო შესყიდვები წარმოებს ხელშეკრულებების საფუძველზე, დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში.

საქონლისა და მომსახურების შესყიდვებით წარმოქმნილი ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან, ორგანიზაციას აღირიცხული აქვს ანგარიშებზე:

- **2-13-4000 (ბვ.3210)** საქონლისა და მომსახურების მოწოდების შედეგად წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები;
- **2-13-6000 (ბვ.3220)** გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების მოწოდებით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები.

ორგანიზაციის კრედიტორული დავალიანებების შესახებ ჯამური ინფორმაცია მოცემულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №24-ით დამტკიცებულ დანართში/შენიშვნაში №13. კრედიტორული დავალიანების ჯამური თანხა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს - **79.779** ლარს.

კრედიტორული დავალიანება ძირითადად წარმოშობილია საანგარიშგებო წლის დეკემბრის თვის ბოლო რიცხვებში (**18.310** ლარი), ასევე აღირიცხება შემოსულობები წინასწარ (საგარანტიო თანხა) მიღებული თანხებით წარმოქმნილი დავალიანებები (**61.369** ლარი), მხოლოდ ერთი კრედიტორული დავალიანების ვადა (შპს მედიაპრო - **100** ლარი) უტოლდება 5 თვეზე მეტს.

### **დასკვნა**

ჩვენს მიერ შემოწმდა ორგანიზაციის მოთხოვნების (დებიტორები) და ვალდებულებების (კრედიტორები) აღრიცხვის შესაბამისობა სსბასს 28, 29 -ითა და ინსტრუქცია №24-ით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. შემოწმების პროცესში ჩვენს მიერ არ ყოფილა გამოვლენილი არსებითი ფაქტები, რომლებიც დაადასტურებდნენ ორგანიზაციის მოთხოვნებისა და ვალდებულებების აღიკვსასთან დაკავშირებული ოპერაციების შეუსაბამობას სსბასს 28, 29, და ფინანსთა მინისტრის ბრძანება №24 („ინსტრუქცია საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“, 2021 წლის 4 თებერვალი, ქ. თბილისი) დამტკიცებული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ამსახველი დანართების შევსების წესთან. ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული და გაცხადებული ძირითადი დებიტორებისა და კრედიტორების აღრიცხვის შესახებ ანგარიშგება თან ერთვის აუდიტის ანგარიშს.

## ნაწილი II

### 2022 წლის საგადასახადო რისკების აუდიტი

#### 1. გადასახადების აღრიცხვისა და დეკლარირების სისწორის დადგენა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის (სსკ) 30-ე მუხლის შესაბამისად საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“ წარმოადგენს ორგანიზაციას. შესაბამისად, იგი არის სსკ-ით დადგენილი გადასახადების გადამხდელი.

აუდიტის მიზანია დაადგინოს დაცული იყო თუ არა სსკ-ის მოთხოვნები ორგანიზაციის მიერ გადასახადების გაანგარიშების, დეკლარირებისა და გადახდის პროცესში.

ორგანიზაციის ძირითადი და დამხმარე საქმიანობის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ იგი არის, მოგების გადასახადის, დამატებული ღირებულების გადასახადის, ქონების გადასახადის გადამხდელი.

საგადასახადო მიმოხილვა განხორციელდა აუდიტის პერიოდში მოქმედი სსკ-ის მიხედვით „ორგანიზაციის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ჩვენს მიერ შემოწმდა 2022 წლისათვის შემდეგი გადასახადები: დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ, საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, ქონების გადასახადი.

ჩვენი მიმოხილვა მოიცავდა:

- საუბრებს პასუხისმგებელ პერსონალთან დაბეგვრის მიმართ პოლიტიკასა და მიდგომებთან დაკავშირებით;
- საბუღალტრო ჩანაწერებისა და დეკლარაციების სიზუსტის მიმოხილვა;
- სახაზინო და საბანკო ანგარიშების შესწავლა;
- ფინანსური და საგადასახადო ბაზების შედარება;
- მომსახურების მიღებასა და გაწევასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების შერჩევითი მიმოხილვა;
- მოგების გადასახადის ე. წ. „ესტონური მოდელის“, მიხედვით დაბეგვრას დაქვემდებარებული ხარჯების, საქონლის/მომსახურების მიწოდების შესწავლა;
- ქონების გადასახადით დასაბეგრი ძირითადი საშუალებების შესწავლა და ქონების გადასახადისაგან განთავისუფლების შესაბამისობის შესწავლა სსკ-ის მოთხოვნებთან;
- ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების აღიკვეთა საგადასახადო კანონმდებლობის თვალსაზრისით;
- მიღებული და გამოწერილი დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურების მიმოხილვა შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე;
- შრომის ანაზღაურებისა და მასთან დაკავშირებული დაბეგვრის მიმოხილვა;
- არარეზიდენტი პირების შემოსავლებზე დარიცხული უკუდაბეგვრის დღგ-ისა და საშემოსავლო გადასახადის შემოწმება;



## 2. მოგების გადასახადი

### *შესრულებული სამუშაო*

2019 წლიდან სსიპ-ებისათვის ამოქმედდა მოგების გადასახადის ე.წ. „ესტონური მოდელი“. აღნიშნული მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის დეკლარირება და გადახდა ხდება ყოველთვიურად საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე. ესტონური მოდელის საფუძველზე მოგების გადასახადით იბეგრება:

- ✓ განაწილებული მოგება (სსკ, მუხლი №98<sup>1</sup>);
- ✓ გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის (სსკ, მუხლი №98<sup>2</sup>);
- ✓ უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა (სსკ, მუხლი №98<sup>3</sup>);
- ✓ წარმომადგენლობითი ხარჯების დაბეგვრა (სსკ, მუხლი №98<sup>4</sup>).

საანგარიშგებო პერიოდში ორგანიზაციას არ ჰქონია ზემოთ მითითებული ხარჯები და გადახდები, შესაბამისად არ წარმოქმნია მოგების გადასახადის დარიცხვისა და გადახდის ვალდებულება.

### *დასკვნა*

ჩვენს მიერ შემოწმდა ორგანიზაციის მიერ დარიცხული და დეკლარირებული გადასახადების სისწორე RS.GE პორტალზე, ორგანიზაციის პირად გვერდზე. ორგანიზაცია გადასახადების აღრიცხვასა და დეკლარირებას აწარმოებს სსკ-ის მოთხოვნების სრული დაცვით. შემოწმების დროს ჩვენს მიერ არ ყოფილა გამოვლენილი არსებითი ფაქტები, რომლებიც დაადასტურებდენ გადასახადების აღრიცხვისა და ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შეუსაბამობას საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობასთან.

### 3. საშემოსავლო გადასახადი

ორგანიზაციის მიერ გადასახადით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს ძირითადად შემდეგი განაცემები:

- ხელფასის სახით და მასთან გათანაბრებული განაცემები;
- გადასახადის გადამხდელის მოწმობის არ მქონე რეზიდენტ ფიზიკურ პირებზე მომსახურების გაწევისათვის გაცემული ანაზღაურება;
- არარეზიდენტების მიერ გაწეული მომსახურებისათვის გაცემული ანაზღაურება.

#### *შესრულებული სამუშაო*

სსკ-ის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ორგანიზაცია, როგორც საგადასახადო აგენტი ვალდებულია შეასრულოს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულება. კერძოდ, ორგანიზაციის თანამშრომელთა ხელფასების გაცემის მომენტში დააკავოს და ბიუჯეტში გადარიცხოს საშემოსავლო გადასახადი სსკ-ით დადგენილი წესით. ჩვენს მიერ შემოწმდა საშემოსავლო გადასახადის დარიცხვის სისწორე და დეკლარირება შემოსავლების სამსახურის პორტალზე, მონაცემები მოცემულია ცხრილში:

ორგანიზაციას ხელფასისა და მასთან გათანაბრებული განაცემების სახით სულ საანგარიშო წლის განმავლობაში გაცემული აქვს **7.280.709** ლარი. ჩვენს მიერ დეტალურად შემოწმდა აღნიშნული მონაცემების სიზუსტე, მოხდა შედარება საბაზინო გადარიცხვებთან. სხვაობა არ გამოვლენილა. ორგანიზაციის მიერ გადახდის წყაროსთან იბეგრება ფიზიკურ პირთა (რომლებიც არ არიან რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელებად) მიერ გაწეული მომსახურებები, რომლებიც ჯამურად შეადგენს **35.168** ლარს

ორგანიზაციას მომსახურებას უწევენ არარეზიდენტი პირები. მათ მომსახურებაზე ჯამურად გადახდილია **367.562** ლარი. აღნიშნული განაცემი დაბეგრილია სსკ-ის 134 მუხლის შესაბამისად გადახდის წყაროსთან. არარეზიდენტების მომსახურებისათვის განაცემი დაბეგრილია 10 %-იანი განაკვეთით.

#### *დასკვნა*

ორგანიზაციის მიერ დეკლარირებულ და აუდიტის შედეგად განსაზღვრულ საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრ ბაზებს, შორის სხვაობა არ გამოვლენილა (იხ. დანართი №1), ორგანიზაციის პირადი ბარათის (RS.GE) მონაცემების შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დეკლარირება და გადასახადის გადახდა განხორციელებულია სსკ-ით დადგენილ ვადებში

შედეგად სსკ-ის 274-ე და 275-ე მუხლებით გათვალისწინებული ჯარიმები და საურავები არ დარიცხულა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე აღნიშნულ გადასახადში საგადასახადო რისკი არ ფიქსირდება.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“

საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშება

2022 წელი

დანართი №1

საანგარიშო პერიოდი (თვე)		დეკლარაციით								შემოწმებით								დამატებითი დასარეგულირებელი გადასახადი	ჯარიმა სსკ 275-ე მუხლით	ჯარიმა სსკ 274-ე მუხლით
		დაქირავებით მომუშავე ფიზიკურ პირებზე გაცემული ხელფასი და მასთან გათანაბრებული განაცემები	გადასახადის გადასახადის მიწოდების არმქონე რეზიდენტ ფიზიკურ პირებზე გაცემული მომსახურებისათვის გაცემული ანაზღაურება (სარეგულაციო) გარდა პროცენტებისა	შუღავაითი მოსარგებლე ფიზიკურ პირებზე გაცემული თანხები	ფიზიკურ პირებზე გაცემული დივიდენდები და პროცენტები	არარეზიდენტებზე განაცემები (4%)	არარეზიდენტებზე განაცემები (10%)	სულ გადასახადის თანხა	დეკლარაციით მომუშავე ფიზიკურ პირებზე გაცემული ხელფასი და მასთან გათანაბრებული განაცემები	გადასახადის გადასახადის მიწოდების არმქონე რეზიდენტ ფიზიკურ პირებზე გაცემული მომსახურებისათვის გაცემული ანაზღაურება (სარეგულაციო) გარდა პროცენტებისა	შუღავაითი მოსარგებლე ფიზიკურ პირებზე გაცემული თანხები	ფიზიკურ პირებზე გაცემული დივიდენდები და პროცენტები	არარეზიდენტებზე განაცემები (4%)	არარეზიდენტებზე განაცემები (10%)	სულ გადასახადის თანხა					
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19		
2022	01	556.345	-	-	-	-	27.307	118.712	556.345	-	-	-	-	27.307	118.712	-	-	-		
	02	567.493	400	-	-	-	26.826	117.181	567.493	400	-	-	-	26.826	117.181	-	-	-		
	03	549.058	874	-	-	-	30.484	137.016	549.058	874	-	-	-	30.484	137.016	-	-	-		
	04	561.420	-	-	-	-	27.412	118.932	561.420	-	-	-	-	27.412	118.932	-	-	-		
	05	573.527	1.380	-	-	-	26.782	119.993	573.527	1.380	-	-	-	26.782	119.993	-	-	-		
	06	583.542	800	-	-	-	26.798	122.190	583.542	800	-	-	-	26.798	122.190	-	-	-		
	07	586.916	1.602	-	-	-	25.673	122.381	586.916	1.602	-	-	-	25.673	122.381	-	-	-		
	08	567.372	1.437	-	-	-	26.395	121.583	567.372	1.437	-	-	-	26.395	121.583	-	-	-		
	09	569.475	-	-	-	-	26.707	123.899	569.475	-	-	-	-	26.707	123.899	-	-	-		
	10	571.680	785	-	-	-	40.368	123.845	571.680	785	-	-	-	40.368	123.845	-	-	-		
	11	571.115	800	-	-	-	24.292	127.726	571.115	800	-	-	-	24.292	127.726	-	-	-		
	12	561.570	27.090	-	-	-	58.518	146.742	561.570	27.090	-	-	-	58.518	146.742	-	-	-		
ჯამი		7.2833.381	35.168	-	-	-	367.562	1.500.199	7.2833.381	35.168	-	-	-	367.562	1.500.199	-	-	-		

#### 4. დამატებული ღირებულების გადასახადი

ორგანიზაცია დამატებული ღირებულების (დღგ) გადამხდელად რეგისტრირებულია 2014 წლის 09 ივლისიდან.

ორგანიზაციას გააჩნია როგორც დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციები, ასევე დღგ-ისაგან განთავისუფლებული შემოსავლებიც. დღგ - ით დასაბეგრი შემოსავალი შეადგენს **144.325** ლარს.

ორგანიზაციას საანგარიშო პერიოდში დღგ-ისაგან ჩათვლის უფლებით განთავისუფლებული ოპერაცია არ უფიქსირდება.

ორგანიზაციას სხვადასხვა სახის მომსახურებებს არარეზიდენტი ფირმები უწევენ, რომელთა მომსახურებაც ექვემდებარება უკუდაბეგვრის წესით დღგ - ით დაბეგვრას. უკუდაბეგვრის წესით დასაბეგრი მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს **367.735** ლარს.

უკუდაბეგვრის წესით დღგ - ის დასაბეგრი ბაზა ფორმირებულია შემდეგი მომსახურებებით:

- გრაფიკული ნამუხადის მიწოდება;
- თანამგზავრული მომსახურება;
- საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტოების მომსახურება;
- რადიოს ინტერნეტ-მაუწყებლობის მომსახურება;
- სხვა მომსახურება.

#### **დასკვნა**

ორგანიზაციის მიერ დეკლარირებულ და აუდიტის შედეგად განსაზღვრულ დღგ - ით დასაბეგრი ბრუნვებსა შორის სხვაობა არ გამოვლენილა (იხ. დანართი №2).

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“

დამატებული ღირებულების გადასახადი

2022 წელი

დანართი №2

თვე, წელი	დეკლარაციით						შემოწმებით						სხვაობა გადასახადში (+) დარიცხვა, (-) შენეირება	ჯარიმა სსკ-ის 275-ე მუხლით	ჯარიმა სსკ-ის 274-ე მუხლით
	დღის ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული ბრუნვა	18% დასაბეგრი ბრუნვა	უკუდაბეგვრის დღე	დასაბეგრ ბრუნვაზე გაანგარიშებული დღე	ჩასათვლელი დღე	მკუთვნის (+) ბიუჯეტს, (-) ბიუჯეტიდან	დღის ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული ბრუნვა	18% დასაბეგრი ბრუნვა	უკუდაბეგვრის დღე	დასაბეგრ ბრუნვაზე გაანგარიშებული დღე	ჩასათვლელი დღე	მკუთვნის (+) ბიუჯეტს, (-) ბიუჯეტიდან			
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
01 - 2022	-	10.326	27.307	6.773	-	6.773	-	10.326	27.307	6.773	-	6.773	-	-	-
02 - 2022	-	10.778	26.899	6.781	-	6.781	-	10.778	26.899	6.781	-	6.781	-	-	-
03 - 2022	-	12.481	30.484	7.733	-	7.733	-	12.481	30.484	7.733	-	7.733	-	-	-
04 - 2022	-	15.176	27.412	7.665	-	7.665	-	15.176	27.412	7.665	-	7.665	-	-	-
05 - 2022	-	9.201	26.782	6.476	-	6.476	-	9.201	26.782	6.476	-	6.476	-	-	-
06 - 2022	-	10.542	28.097	6.954	-	6.954	-	10.542	28.097	6.954	-	6.954	-	-	-
07 - 2022	-	12.348	25.673	6.843	-	6.843	-	12.348	25.673	6.843	-	6.843	-	-	-
08 - 2022	-	15.669	25.197	7.355	-	7.355	-	15.669	25.197	7.355	-	7.355	-	-	-
09 - 2022	-	11.509	26.707	6.878	-	6.878	-	11.509	26.707	6.878	-	6.878	-	-	-
10 - 2022	-	11.447	40.368	9.326	-	9.326	-	11.447	40.368	9.326	-	9.326	-	-	-
11 - 2022	-	15.335	24.292	7.132	-	7.132	-	15.335	24.292	7.132	-	7.132	-	-	-
12 - 2022	-	9.513	58.518	12.245	-	12.245	-	9.513	58.518	12.245	-	12.245	-	-	-
ჯამი	-	144.325	367.735	92.161	-	92.161	-	144.325	367.735	92.161	-	92.161	-	-	-



## 5. ქონების გადასახადი

აუდიტის პროცესში დადგინდა, რომ ორგანიზაცია არის ქონების გადასახადის (მათ შორის მიწაზე გადასახადის) გადამხდელი.

ქონების გადასახადით იბეგრება ორგანიზაციის ის ქონება, რომელიც გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის. ქონების გადასახადი გამოინგარიშება როგორც ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული ქონების საშუალო წლიური ღირებულების 1%, რაც შეადგენს **973,37** ლარს. ქონების გადასახადის შესახებ ინფორმაცია მოცემულია დანართში №3:

**სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“  
ქონების გადასახადი  
2022 წელი**

დანართი №3

№	საანგარიშო წელი													სულ ჯამი
	2022													
ტერიტორიული ერთეული	გადამდელის მონაცემებით	ბათუმი	ბულო	შუახევი	ქედა	ბელვანაური	ქობულეთი	ლაგოდეხი	თბილისი	გორი	ზუგდიდი	ქუთაისი	ვითი	-
	შემოწმების მონაცემებით	ბათუმი	ბულო	შუახევი	ქედა	ბელვანაური	ქობულეთი	ლაგოდეხი	თბილისი	გორი	ზუგდიდი	ქუთაისი	ვითი	-
	+-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ქონების ღირებულება	გადამდელის მონაცემებით	90.777	332	315	417	977	190	1.028	2.696	140	143	179	143	97.337
	შემოწმების მონაცემებით	90.777	332	315	417	977	190	1.028	2.696	140	143	179	143	97.337
	+-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ქონების ღირებულება ფილიალის გათვალისწინებით	გადამდელის მონაცემებით	90.777	332	315	417	977	190	1.028	2.696	140	143	179	143	97.337
	შემოწმების მონაცემებით	90.777	332	315	417	977	190	1.028	2.696	140	143	179	143	97.337
	+-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
საგადასახადო ფილიალის საფუძველი	გადამდელის მონაცემებით	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
	შემოწმების მონაცემებით	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
	+-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
გადასახადის განაკვეთი	გადამდელის მონაცემებით	1%	1%	1%	1%	1%	1%	1%	1%	1%	1%	1%	1%	-
	შემოწმების მონაცემებით	1%	1%	1%	1%	1%	1%	1%	1%	1%	1%	1%	1%	-
	+-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ქონების გადასახადი	გადამდელის მონაცემებით	907,77	3,32	3,15	4,17	9,77	1,90	10,28	26,96	1,40	1,43	1,79	1,43	973,37
	შემოწმების მონაცემებით	907,77	3,32	3,15	4,17	9,77	1,90	10,28	26,96	1,40	1,43	1,79	1,43	973,37
	+-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
დამატებით დასარიცხავი შესამოწმებელი მართიანი გადასახადი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ჯარიმა 274-ე მუხლით														-
ჯარიმა 275-ე მუხლით														-
ექვემდებარება დამატებით დარიცხვას .... წლის ქონების გადასახადის მიმდინარე გადასახადულუბი														-
შენიშვნა														

ორგანიზაცია ფლობს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალ მუნიციპალიტეტებში და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ მიწაზე გადასახადი გამოთვლილია სსკ-ის 204-ე მუხლის შესაბამისად. მიწაზე გადასახადმა საანგარიშო წელს შეადგინა **242,23** ლარი. მიწაზე გადასახადის შესახებ ინფორმაცია მოცემულია დანართში №4:

**სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“**

**ქონების (მიწა) გადასახადი**

**2022 წელი**

დანართი №4

№	საანგარიშო წელი			სულ ჯამი	
	2022				
მიწის ნაკვეთის მდებარეობა	გადაზღვევის მონაცემებით	აჭარა მუნიციპალიტეტები/ (მათუმა, ხელფანაური, ხულო, შუახევი)	აჭარა ქობულეთი პერიფერიული ზონა	კახეთი /ლაგოდეხი/ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	-
	შემოწმების მონაცემებით	აჭარა მუნიციპალიტეტები/ (მათუმა, ხელფანაური, ხულო, შუახევი)	აჭარა ქობულეთი პერიფერიული ზონა	კახეთი /ლაგოდეხი/ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	-
	+ -	-	-	-	-
სახეობა და კატეგორია	გადაზღვევის მონაცემებით	არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწა	არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწა	არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწა	-
	შემოწმების მონაცემებით	არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწა	არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწა	არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწა	-
	+ -	-	-	-	-
მიწის ფართობი (ჰა/მ.კვ)	გადაზღვევის მონაცემებით	1.001,30	10,00	10,00	1.021,30
	შემოწმების მონაცემებით	1.001,30	10,00	10,00	1.021,30
	+ -	-	-	-	-
მიწის ფართობი შეღვათის გათვალისწინებით	გადაზღვევის მონაცემებით	1.001,30	10,00	10,00	1.021,30
	შემოწმების მონაცემებით	1.001,30	10,00	10,00	1.021,30
	+ -	-	-	-	-
გადასახადის განაკვეთი	კოეფიციენტი	24%	12%	7%	
	კოეფიციენტი	24%	12%	7%	
	+ -	-	-	-	
ქონების გადასახადი	გადაზღვევის მონაცემებით	240,31	1,20	0,72	242,23
	შემოწმების მონაცემებით	240,31	1,20	0,72	242,23
	+ -	-	-	-	-
დამატებით დასარიცხა (+) შესამცირებელია (-) ძირითადი გადასახადი		-	-	-	-
ჯარიმა 274-ე მუხლით		-	-	-	-
ჯარიმა 275-ე მუხლით		-	-	-	-
გვერდობა დამატებით დარიცხვას .... წლის ქონების გადასახადის მიმდინარე ადასახადებზე		-	-	-	-
შენიშვნა		-	-	-	-

**დასკვნა**

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ორგანიზაციის მიერ ქონების გადასახადი გამოთვლილია და დეკლარირებულია სსკ-ის 204-ე მუხლის შესაბამისად. დეკლარირებულ და აუდიტის მონაცემებს შორის სხვაობა არ დაფიქსირებულა.

## ნაწილი III

### 2022 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონთან შესაბამისობის სისწორის დადგენა

#### სახელმწიფო შესყიდვები (ფაქტობრივი მდგომარეობა)

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს (შემდგომში - აჭარის ტელევიზია) 2022 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა შედგენილია და შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ატვირთულია (რეგისტრირებულია) 2021 წლის 19 ნოემბრის თარიღით, ანუ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში (ბოლო შესწორება გეგმაში განხორციელებულია 2022 წლის 27 დეკემბრის თარიღით). აჭარის ტელევიზიის 2022 წლის შესყიდვების გეგმა განსაზღვრულ იქნა **2.563.741** ლარის სავარაუდო ღირებულების თანხაზე (სულ, დაგეგმილი 156 შესყიდვის მიხედვით). სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსების ხარჯზე დაგეგმილი იყო **2.483.355** ლარის სავარაუდო ღირებულების სულ 100 შესყიდვის ჩატარება, ხოლო საკუთარი სახსრების ხარჯზე კი დაგეგმილი იქნა **80.386** ლარის სავარაუდო ღირებულების სულ 56 შესყიდვის ჩატარება. ელექტრონული ტენდერის ჩატარების გზით დაგეგმილი იქნა 23 შესყიდვის ჩატარება **1.748.565** ლარის სავარაუდო ღირებულების თანხაზე, გამარტივებული შესყიდვის გზით - 117 შესყიდვის განხორციელება **461.155** ლარის სავარაუდო ღირებულების თანხაზე, ხოლო კონსოლიდირებული შესყიდვის საშუალებით კი დაგეგმილი იქნა 16 შესყიდვის განხორციელება **354.021** ლარის სავარაუდო ღირებულების თანხაზე (შევნიშნავთ, რომ კონსოლიდირებულ ტენდერებს ატარებს თვითონ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო და ასეთ ტენდერებში გამარჯვებულ ორგანიზაციებთან შემსყიდველები (მ.შ. აჭარის ტელევიზიაც) აფორმებენ შესაბამის ხელშეკრულებებს).

#### ფაქტობრივი მდგომარეობა:

შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში არსებული (ატვირთული) შესაბამის ინფორმაციათა საფუძველზე ირკვევა, რომ აჭარის ტელევიზიის მიერ 2022 წელს ყველა ელექტრონული ტენდერი გამოცხადებულია NAT-ის პირობით („ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე“), სულ 66 შემთხვევაში. აქედან ელექტრონული ტენდერი პრეისკურანტით გამოცხადებულია 3 შემთხვევაში - 2021 წლის 25 ნოემბერს (შესყ. კოდი 50100000 - „სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები“, საპრეისკურანტო სავარაუდო ღირებულების თანხა - **175.169** ლარი) - ტენდერი არ შედგა; 2021 წლის 8 დეკემბერს, იგივე კოდითა და საპრეისკურანტო ღირებულებით, როგორც წინა შემთხვევაში - მოცემულ ტენდერში გამარჯვებული გამოვიდა შპს „ბონუსი“ და აჭარის ტელევიზიის მიერ მასთან 2022 წლის 11 იანვარს გაფორმებული N02-22/29 ხელშეკრულების თანხა განისაზღვრა **35.000** ლარით); 2022 წლის 8 ივნისს [შესყ. კოდი 50300000 - „პერსონალური კომპიუტერების, საოფისე აპარატურის, სატელეკომუნიკაციო და აუდიოვიზუალური მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები“, საპრეისკურანტო ღირებულება - **173.805,0** ლარი (მოცემულ ტენდერში გამარჯვებული გამოვიდა შპს „ინოვატორი“ და ტელევიზიის მიერ მასთან გაფორმებული 2022 წლის 29 ივნისის N02-22/141 ხელშეკრულების თანხა განისაზღვრა **15.000** ლარით] და 2022 წლის 7 დეკემბერს [შესყ. კოდი 50100000 - „სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები“, საპრეისკურანტო სავარაუდო ღირებულების თანხა - **232.522** ლარი (მოცემულ ტენდერში გამარჯვებული გამოვიდა შპს „ჯეო-ავტო“ და ტელევიზიის მიერ მასთან 2023 წლის 6 იანვარს გაფორმებული N20 ხელშეკრულების თანხა განისაზღვრა **35.000** ლარით. ამ

ხელშეკრულების შესრულებაც, ცხადია 2023 წელში უნდა მოხდეს]. აჭარის ტელევიზიის მიერ ყველა დანარჩენი ელექტრონული ტენდერი (63 ერთეული) გამოცხადებულია ჩვეულებრივი NAT-ის პირობით. ანუ, მთლიანობაში აჭარის ტელევიზიის მიერ 2021 წლის 25 ნოემბრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში (შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად მომდევნო წლის ტენდერების გამოცხადება წარმოებს მიმდინარე წლის 25 ნოემბრიდან დაწყებული მომდევნო წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) გამოცხადებული სულ 66 ელექტრონული ტენდერიდან კი ფაქტობრივად შედგა (შესაბამისად გაფორმებულ იქნა სათანადო ხელშეკრულებებიც) 41 ტენდერი, არ შედგა 11 ტენდერი, უარყოფითი შედეგით დამთავრდა 8 ტენდერი, ხოლო 6 ტენდერი კი შეწყვეტილ იქნა.

წინამდებარე აუდიტორულ დასკვნაში ჩვენს მიერ ქვევით შერჩევითი გზით (პრიორიტეტი: თანხობრივი პარამეტრები) განხილულ იქნა ჩატარებული ტენდერების შედეგებიდან გამომდინარე შესაბამის გამარჯვებულ ორგანიზაციათა გამოვლენისა და მათთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებების შესრულების მდგომარეობის საკითხები, რის შედეგადაც გამოვთქვამთ რიგ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს, კერძოდ:

როგორც უკვე ზევით იყო აღნიშნული, საანალიზო პერიოდში, აჭარის ტელევიზიის მიერ გამოცხადებული იქნა სულ 66 ელექტრონული ტენდერი (ყველა ტენდერი - NAT-ის პირობით). აქედან კი ფაქტობრივად შედგა (შესაბამისად გაფორმებულ იქნა სათანადო ხელშეკრულებებიც) 41 ტენდერი, არ შედგა 11 ტენდერი, უარყოფითი შედეგით დამთავრდა 8 ტენდერი, ხოლო 6 ტენდერი კი შეწყვეტილ იქნა. აქვე აღვნიშნავთ, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად NAT-ის მეთოდით ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას, განსხვავებით SPA-ს პირობით ჩატარებული ელექტრონული ტენდერებისაგან (მათში ელექტრონული ვაჭრობა რაუნდებად პირდაპირ მიმდინარეობს) ელექტრონული ვაჭრობა როგორც ასეთი, არ წარმოებს, უფრო სწორად ვაჭრობა ხდება დაფარული მონაცემებით დამატებითი რაუნდების გარეშე (ასეთ ტენდერებში იმარჯვებს ის პრეტენდენტი, რომელსაც ნაკლები სატენდერო წინადადების ფასი აქვს წარდგენილი). NAT-იანი ტენდერების დროს მათში მონაწილე პრეტენდენტების, გარდა გამარჯვებული პრეტენდენტისა (რომელიც ცნობილი ხდება ელექტრონული ტენდერის დასრულებისთანავე) ვინაობა და მათ მიერ შეთავაზებული სატენდერო წინადადებათა ფასები, ცნობილი ხდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა შემსყიდველის მიერ გაფორმდება და სისტემაში აიტვირთება ხელშეკრულება გამარჯვებულ პრეტენდენტთან, ანუ მაშინ, როცა აღნიშნულ ტენდერს მიენიჭება სტატუსი „ხელშეკრულება დადებულია“. შევნიშნავთ იმის თაობაზეც, რომ ელექტრონული ტენდერის ჩატარების მეთოდის არჩევა შემსყიდველი ორგანიზაციის პრეროგატივას წარმოადგენს.

აღვნიშნავთ, რომ საანალიზო პერიოდში ელექტრონული ტენდერების საფუძველზე ყველაზე დიდთანხიანი ხელშეკრულებები გაფორმებულია:

**შპს „იმგო“** (მასთან დადებულია ერთი ხელშეკრულება) – **265.550,0** ლარზე დღგ-ს ჩათვლით [აჭარის ტელევიზიის მიერ 2022 წლის 25 მარტს, CPV 32300000 კოდით („ტელე- და რადიოსიგნალის მიმღებები და აუდიო- ან ვიდეოგამოსახულების ჩამწერი ან აღწარმოების აპარატურა“) 265550,0 ლარის სავარაუდო ღირებულების თანხაზე გამოცხადებული NAT 220005539 ელექტრ. ტენდერის საფუძველზე; ხელშ. გაფორმების თარიღი 20.04.22წ; ხელშეკრულების ნომერი N02-22/106];

**შპს „ინოვატორი“** (მასთან დადებულია 4 ხელშეკრულება): 1) **205.360,0** ლარზე დღგ-ს ჩათვლით [2022 წლის 20 ივნისს CPV 32300000 კოდით („ტელე-და რადიოსიგნალის მიმღებები და აუდიო- ან ვიდეოგამოსახულების ჩამწერი ან აღწარმოების აპარატურა“) **205.360,0** ლარის სავარაუდო ღირებულების თანხაზე გამოცხადებული NAT 220011936 ელექტრ. ტენდერის საფუძველზე; ხელშეკრ. გაფორმების თარიღი 05.08.22წ; N02-22/168]; 2) **117.650,0** ლარზე დღგ-ს ჩათვლით [2022 წლის 20 სექტემბერს CPV 32300000 კოდით („ტელე- და რადიოსიგნალის მიმღებები და აუდიო- ან ვიდეოგამოსახულების ჩამწერი ან აღწარმოების აპარატურა“) **118.850,0** ლარის სავარაუდო ღირებულების თანხაზე გამოცხადებული NAT 220005539 ელექტრ. ტენდერის საფუძველზე; ხელშ.



გაფორმების თარიღი 25.10.22 წ; N02-22/210]; 3) **67.584,0** ლარზე დღგ-ს ჩათვლით [2022 წლის 14 ივლისს CPV 32300000 კოდით („ტელე- და რადიოსიგნალის მიმღებები და აუდიო- ან ვიდეოგამოსახულების ჩამწერი ან აღწარმოების აპარატურა“) **57.875,0** ლარის სავარაუდო ღირებულების თანხაზე (დღგ-ს გარეშე) გამოცხადებული NAT 220013746 ელექტრ. ტენდერის საფუძველზე; ხელშეკრ. გაფორმების თარიღი 12.08.22წ; N02-22/172). 4) იმავე შპს „ინოვატორთან“ პრეისკურანტული წესით 2022 წლის 29 ივნისს გაფორმებულია ელექტრონული ტენდერის N02-22/141 ხელშეკრულებაც **15.000,0** ლარზე, დღგ-ს ჩათვლით. მოცემული ხელშეკრულების გაფორმებას საფუძველად უდევს აჭარის ტელევიზიის მიერ 2022 წლის 8 ივნისს გამოცხადებული NAT 220011038 პრეისკურანტული ელექტრონული ტენდერი საპრეისკურანტო სავარაუდო ღირებულებით **173.805** ლარი. შესყიდვის კატეგორია CPV 50300000 – „პერსონალური კომპიუტერების, საოფისე აპარატურის, სატელეკომუნიკაციო და აუდიოვიზუალური მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები“;

**სააქციო საზოგადოება „არდი დაზღვევა“**-სთან აჭარის ტელევიზიის მიერ 2021 წლის 17 დეკემბერს გამოცხადებული NAT 210024916 ელექტრონული ტენდერის შედეგების საფუძველზე 2021 წლის 31 დეკემბერს გაფორმებულ იქნა N02-22/23 ხელშეკრულება **128.100,0** ლარზე (დღგ-ს გათვალისწინებით), CPV 32300000 კოდით - „სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები“;

**შპს „ულტრა“**-სთან 2022 წლის 11 მაისს გაფორმებულია N02-22/115 ხელშეკრულება **93.690,0** ლარზე (დღგ-ს გათვალისწინებით), CPV 30200000 კოდით - „კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები“. მოცემული ხელშეკრულების გაფორმების საფუძველია აჭარის ტელევიზიის მიერ 2022 წლის 5 აპრილს, CPV 30200000 კოდით **117.000,0** ლარის სავარაუდო ღირებულების თანხაზე გამოცხადებული NAT 220006778 ელექტრ. ტენდერის შედეგები. შევნიშნავთ, რომ ზემომითითებული განმეორებით იქნა გამოცხადებული, რადგანაც 2022 წლის 25 მარტს იგივე კოდითა და იგივე თანხაზე გამოცხადებული ანალოგიური ტენდერი შეწყვეტილ იქნა თვითონ შესყიდველის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით მის მიერვე დაშვებული ტექნიკური შეცდომის გამო. როგორც ეს შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში არსებული შემსყიდველის სატენდერო კომისიის 2022 წლის 5 აპრილის N02 ოქმიდან ირკვევა, სატენდერო განცხადებასა და მასზე თანდართულ სატენდერო პირობაში იყო შეუსაბამობა (ერთგან სატენდერო წინადადების ფასი მითითებული იყო დღგ-ს გარეშე, მეორეში კი დღგ-ს ჩათვლით);

**შპს „პატიო არტი“**-სთან 2022 წლის 21 ივნისს გაფორმებულია N02-22/133 ხელშეკრულება **75.232,0** ლარზე (დღგ-ს ჩათვლით), CPV 45400000 კოდით „შენობის დასრულების სამუშაოები“. აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების საფუძველია ტელევიზიის მიერ 2022 წლის 23 მაისს, ზემომითითებული CPV კოდით **76.000,0** ლარის სავარაუდო ღირებულების თანხაზე გამოცხადებული NAT 220010017 ელექტრ. ტენდერის შედეგები;

**შპს „ვიდეოსკოპი“**-სთან ელექტრონული ტენდერების საფუძველზე 2022 წელს გაფორმებულ იქნა 4 ხელშეკრულება. კერძოდ: 1) **28.602,0** ლარზე [2021 წლის 31 დეკემბერს CPV 32300000 კოდით („ტელე- და რადიოსიგნალის მიმღებები და აუდიო- ან ვიდეოგამოსახულების ჩამწერი ან აღწარმოების აპარატურა“) **25.423,0** ლარის სავარაუდო ღირებულების თანხაზე (დღგ-ს გარეშე) გამოცხადებული NAT 210026155 ელექტრ. ტენდერის საფუძველზე; ხელშეკრ. გაფორმების თარიღი 24.01.22წ; N02-22/34]; 2) **29.995,0** ლარზე [2022 წლის 6 აპრილს CPV 32300000 კოდით („ტელე- და რადიოსიგნალის მიმღებები და აუდიო- ან ვიდეოგამოსახულების ჩამწერი ან აღწარმოების აპარატურა“) **25.420,0** ლარის სავარაუდო ღირებულების თანხაზე (დღგ-ს გარეშე) გამოცხადებული NAT 220006833 ელექტრ. ტენდერის საფუძველზე; ხელშ. გაფორმების თარიღი 11.05.22 წ; N02-22/116]; 3) **15.823,0** ლარზე [2022 წლის 1 ივლისს CPV 31400000 კოდით („აკუმულატორები, დენის პირველადი წყაროები და პირველადი ელემენტები“) **14.230,0** ლარის სავარაუდო ღირებულების თანხაზე გამოცხადებული (დღგ-ს გარეშე) NAT 220012822 ელექტრ. ტენდერის საფუძველზე; ხელშეკრ. გაფორმების თარიღი



25.07.22წ; N02-22/162]; 4) **7.493,0** ლარზე [2022 წლის 11 ნოემბერს CPV 31700000 კოდით („ელექტრონული, ელექტრომექანიკური და ელექტროტექნიკური საშუალებები“) **6.690,0** ლარის სავარაუდო ღირებულების თანხაზე გამოცხადებული (დღგ-ს გარეშე) NAT 220023304 ელექტრ. ტენდერის საფუძველზე; ხელშეკრ. გაფორმების თარიღი 05.12.22წ; N02-22/240. ამ უკანასკნელი ხელშეკრულების შესრულება ფაქტობრივად 2023 წელს ხდება]. შპს „ვიდეოსკოპთან“ ზემომითითებული 4-ივე ხელშეკრულება დღგ-ს ჩათვლით არის გაფორმებული.

ჩვენს მიერ უკვე ზემოთ აღნიშნა, ელექტრონული ტენდერის საფუძველზე შპს „იმგოსთან“ – **265.550,0** ლარზე გაფორმებული ხელშეკრულების ორგანიზაციული საფუძველების შესახებ. როგორც უკვე ზემოთ იყო მითითებული, მოცემული ხელშეკრულების გაფორმებას საფუძველად უდევს აჭარის ტელევიზიის მიერ 2022 წლის 25 მარტს, CPV 32300000 კოდით („ტელე- და რადიოსიგნალის მიმღებები და აუდიო- ან ვიდეოგამოსახულების ჩამწერი ან აღწარმოების აპარატურა“) **265.550,0** ლარის სავარაუდო ღირებულების თანხაზე გამოცხადებული NAT 220005539 ელექტრ. ტენდერის შედეგები. შევნიშნავთ, რომ შესყიდვების ელექტრონული სისტემის მონაცემების თანახმად აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობას (თანაც გამოცხადებული სატენდერო სავარაუდო ღირებულების ზუსტად ადეკვატური სატენდერო წინადადების ფასით) მხოლოდ ეს პრეტენდენტი იღებდა და ტენდერში გამარჯვებულადაც (ტელევიზიიდან მოთხოვნილი რიგი პარამეტრების დაზუსტების შემდეგ) სწორედ აღნიშნული ორგანიზაცია იქნა გამოვლენილი (აჭარის ტელევიზიის სატენდერო კომისიის 2022 წლის 12 აპრილის სხდომის N3 და N4 ოქმები).

აღნიშნულ ორგანიზაციასთან 2022 წლის 20 აპრილს გაფორმებულ იქნა N02-22/106 ხელშეკრულება **265.550,0** ლარზე, დღგ-ს ჩათვლით. ხელშეკრულების თანახმად შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა CPV 32323000 კოდით („ვიდეომონიტორები“) შუქდიოდური ლედმონიტორის კომპლექტის შეძენა. საქონლის მოწოდება უნდა განხორციელებულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. ხელშეკრულების 11.1 პუნქტის თანახმად შესაძლებელი იყო საავანსო ანგარიშსწორების გამოყენება, მოთხოვნილ თანხაზე საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში. გარანტიის ვადა მინიმუმ 30 კალენდარული დღით მეტი უნდა ყოფილიყო ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე. მიგვაჩნია, რომ ხელშეკრულებაში საჭირო იყო მითითება ტექნიკური დოკუმენტაციით განსაზღვრული იმ პირობების შესახებ, რომელთა თანახმადაც მიმწოდებელს უნდა უზრუნველყო მონიტორების ადგილზე მიწოდება, მონტაჟი და ჩაეტარებინა ყველა სხვა მოქმედება (ჩაეტარებინა ტრენინგი მაუწყებლის არაუმეტეს ათი თანამშრომლისთვის), რომელიც აუცილებელი იყო მონიტორის გამართული მუშაობისთვის და მასზე გამოსახულების გაშვებისთვის. აღვნიშნავთ, რომ შპს „იმგოს“ სასარგებლოდ აჭარის ტელევიზიის მიერ საკუთარი შემოსავლებიდან 2022 წლის 26 აპრილს ავანსად არის ანაზღაურებული მთლიანი თანხა **265.550,0** ლარი. ავანსად თანხის გადარიცხვის საფუძველიანობასთან დაკავშირებით არსებობს სადაზღვევო კომპანია „უნისონის“ მიერ 2022 წლის 20 აპრილის თარიღით გაცემული APB100296 საავანსო საბანკო გარანტია **132.775** ლარზე (გარანტი „უნისონი“, პრინსიპალი - შპს „იმგო“, ბენეფიციარი - აჭარის ტელევიზია). ანუ საბანკო გარანტია გაცემულია სახელშეკრულებო თანხის ნახევარზე (50%), მაგრამ რადგანაც ხსენებული მიმწოდებელი („იმგო“) რეგისტრირებული იყო თეთრ სიაში, როგორც კეთილსინდისიერი მიმწოდებელი, ამიტომ გარანტია წარმოდგენილია კანონმდებლობის შესაბამისად გადასახდელი თანხის ნახევარზე. თუმცა შპს „იმგოს“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ვადაში ვერ იქნა უზრუნველყოფილი, რის გამოც ტელევიზიის მხრიდან (წერილი N02-12/147, 17.06.2022წ) დაეკისრა საპირგასამტეხლო ჯარიმის გადახდა **1.109,42** ლარის ოდენობით (ჯარიმა ანაზღაურებულ იქნა 20 ივნისს) საქონლის მიწოდებაზე და საერთოდაც ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები.

ზემოთ უკვე აღნიშნული იყო შპს „ინოვატორთან“ 2022 წლის განმავლობაში ელექტრონული ტენდერების საფუძველზე გაფორმებული 4 ხელშეკრულების ორგანიზაციული საფუძველების შესახებ. აღვნიშნავთ, რომ ზემომითითებული 4-იდან ყველაზე დიდთანხიანს წარმოადგენს 2022 წლის 5 აგვისტოს გაფორმებული N02-22/168 ხელშეკრულება **205.360,0** ლარზე (დღგ-ს ჩათვლით). როგორც უკვე ზემოთ იყო მითითებული მოცემული ხელშეკრულების გაფორმებას საფუძველად უდევს აჭარის ტელევიზიის მიერ 2022 წლის 20 ივნისს CPV 32300000 კოდით („ტელე- და რადიოსიგნალის მიმღებები და აუდიო- ან ვიდეოგამოსახულების ჩამწერი ან აღწარმოების აპარატურა“) 265550,0 ლარის სავარაუდო ღირებულების თანხაზე გამოცხადებული NAT 220011936 ელექტრ. ტენდერის შედეგები. შევნიშნავთ, რომ შესყიდვების ელექტრონული სისტემის მონაცემების თანახმად აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობას (თანაც გამოცხადებული სატენდერო სავარაუდო ღირებულების ზუსტად ადეკვატური სატენდერო წინადადების ფასით) მხოლოდ ეს პრეტენდენტი (შპს „ინოვატორი“) იღებდა და ტენდერში გამარჯვებულადაც (ტელევიზიიდან მოთხოვნილი რიგი პარამეტრების დაზუსტების შემდეგ) შემსყიდველის სატენდერო კომისიის მიერ სწორედ ეს ორგანიზაცია იქნა გამოვლენილი. (აჭარის ტელევიზიის სატენდერო კომისიის 2022 წლის 22 ივლისის სხდომის N4 ოქმი).

აღნიშნულ ორგანიზაციასთან 2022 წლის 5 აგვისტოს გაფორმებულ იქნა N02-22/168 ხელშეკრულება **205.360,0** ლარზე, დღგ-ს ჩათვლით. ხელშეკრულების თანახმად შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა CPV 32324300 კოდით მობილური გადასატანი ვიდეო და აუდიო სიგნალის პირდაპირი ჩართვის გადამცემის და ვიდეო სიგნალის მიმღები სერვერის (CPV 32324300) შექმნა. მიწოდება უნდა განხორციელებულიყო ეტაპობრივად ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში. ხელშეკრულების 11.1 პუნქტის თანახმად შესაძლებელი იყო საავანსო ანგარიშსწორების გამოყენება, მოთხოვნილ თანხაზე საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში. გარანტიის ვადა მინიმუმ 30 კალენდარული დღით მეტი უნდა ყოფილიყო ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე.

აღვნიშნავთ, რომ შპს „ინოვატორის“ სასარგებლოდ აჭარის ტელევიზიის მიერ საკუთარი შემოსავლებიდან 2022 წლის 29 აგვისტოს ავანსად არის ანაზღაურებული მთლიანი თანხა **205.360,0** ლარი. როგორც ეს სატენდერო კომისიის ზემოაღნიშნული N4 ოქმიდან ირკვევა, გამარჯვებულ პრეტენდენტს, როგორც თეთრ სიაში რეგისტრირებულ მიმწოდებელს ავანსად თანხის გადარიცხვის საფუძვლიანობისათვის უნდა წარმოედგინა საბანკო გარანტია სახელშეკრულებო თანხის ნახევარზე, ანუ **102.680,0** ლარზე. საგარანტიო დოკუმენტი ტექნიკური მიზეზით შესყიდვების სისტემაში არ არის ატვირთული, თუმცა საბუთი რეალურად ადგილზე არსებობს. ზემოხსენებული ხელშეკრულების 6.1 პუნქტის თანახმად მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდებოდა ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის საფუძველზე ხელშეკრულების მე-5 მუხლის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის ან/და საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში 10 სამუშაო დღის ვადაში. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში კი აღნიშნულია, რომ „საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის დასახელების, რაოდენობისა და ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის ან/და სხვა საგადასახადო დოკუმენტის გაფორმების შემდეგ“. იმავდროულად აღვნიშნავთ იმის შესახებაც, რომ შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში 2023 წლის 29 მარტის თარიღით ატვირთულია აღნიშნულ ხელშეკრულების დამდებ მხარეთა მიერ 2022 წლის 1 სექტემბრის თარიღით შტამპდასმული მიღება-ჩაბარების აქტი (უთარილო), რითაც დადასტურებულია სახელშეკრულებო საქონლის მოწოდება **205.360,0** ლარზე. მიღებული განმარტებით, დოკუმენტის სისტემაში გვიან ატვირთვა ტექნიკური მიზეზით არის გამოწვეული.

იმავე შპს „ინოვატორთან“ 2022 წელს გაფორმებულ რიგით მეორე დიდთანხიან ხელშეკრულებასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ როგორც ეს ზემოთ გვაქვს მითითებული, ეს ხელშეკრულება (N02-22/210) გაფორმებულია 2022 წლის 25 ოქტომბერს **117.650,0** ლარზე, დღგ-ს ჩათვლით. ხელშეკრულების გაფორმების საფუძველს კი, როგორც ამის თაობაზე უკვე ასევე ზემოთ არის მითითებული, წარმოადგენს აჭარის ტელევიზიის მიერ 2022 წლის 20 სექტემბერს CPV 32300000 კოდით („ტელე- და რადიოსიგნალის მიმღებები და აუდიო- ან ვიდეოგამოსახულების ჩამწერი ან აღწარმოების აპარატურა“) **118.850,0** ლარის სავარაუდო ღირებულების თანხაზე გამოცხადებული NAT 220005539 ელექტრონული ტენდერის შედეგები. სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში არსებული მონაცემების თანახმად აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობას იღებდა მხოლოდ ეს აღნიშნული პრეტენდენტი და გამარჯვებულადაც სწორედ იგი იქნა გამოვლენილი. (აჭარის ტელევიზიის სატენდერო კომისიის 2022 წლის 19 ოქტომბრის სხდომის N3 ოქმი). აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც უკვე ზემოთ არის მითითებული შპს „ინოვატორთან“ 2022 წლის 25 ოქტომბერს გაფორმებულ იქნა სახელმწიფო შესყიდვის N02-22/210 ხელშეკრულება 117650,0 ლარზე, დღგ-ს ჩათვლით. ხელშეკრულების საგანია 2 ერთეული ვიდეოკამერის კომპლექტის (CPV 32333200) და 1 ცალი ვიდეოკამერის ობიექტივის (CPV 32351000) შესყიდვა. ისევე როგორც ზემოთ აღნიშნულ ხელშეკრულებებში, წინამდებარე ხელშეკრულებაში 5.1 და 5.2 პუნქტებით არ არის დაკონკრეტებული საქონლის მიღება-ჩაბარების განმახორციელებელი პირები. ხელშეკრულების 8.2 პუნქტის თანახმად შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელება ევალება შესყიდვების თანამშრომელ გოჩა მიქელაძეს. ხელშეკრულების თანახმად მიწოდება უნდა განხორციელებულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 120 კალენდარული დღის ვადაში. ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებულია საავანსო ანგარიშსწორების გამოყენება, მოთხოვნილ თანხაზე საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში. ხელშეკრულების შესრულების მდგომარეობის შემოწმებით ირკვევა, რომ შპს „ინოვატორის“ სასარგებლოდ აჭარის ტელევიზიის მიერ საკუთარი შემოსავლებიდან 2022 წლის 10 ნოემბერს ავანსად არის გადარიცხული მთლიანი სახელშეკრულებო თანხა **117.650,0** ლარი. საავანსო გადარიცხვის საფუძვლიანობისათვის წარმოდგენილია „საქართველოს ბანკის“ საბანკო გარანტია **58.825,0** ლარზე, ანუ სახელშეკრულებო თანხის ნახევარზე. რადგანაც ხსენებული მიმწოდებელი („ინოვატორი“) რეგისტრირებული იყო თეთრ სიაში, როგორც კეთილსინდისიერი მიმწოდებელი, ამიტომ გარანტია წარმოდგენილია კანონმდებლობის შესაბამისად გადასახდელი თანხის ნახევარზე. სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად მომწოდებელს უნდა წარმოედგინა მწარმოებელის ავტორიზაციის ფორმა ე.წ. MAF – Manufacturer Authorization Form. ზემოთ აღნიშნული წინა შემთხვევის ანალოგიურად შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში 2023 წლის 29 მარტის თარიღით ატვირთულია აღნიშნულ ხელშეკრულების დამდებ მხარეთა მიერ 2022 წლის 1 სექტემბრის თარიღით შტამპდასმული მიღება-ჩაბარების აქტი (უთარილო), რითაც დადასტურებულია სახელშეკრულებო საქონლის მოწოდება **205.360,0** ლარზე. მიღებული განმარტებით, დოკუმენტის სისტემაში გვიან ატვირთვა ტექნიკური მიზეზით არის გამოწვეული.

იგივე შპს „ინოვატორთან“ 2022 წელს გაფორმებულ რიგით მესამე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ როგორც ეს ზემოთ გვაქვს მითითებული, ეს ხელშეკრულება (N02-22/172) გაფორმებულია 2022 წლის 12 აგვისტოს **67.584,0** ლარზე, დღგ-ს ჩათვლით. ხელშეკრულების გაფორმების საფუძველია 2022 წლის 14 ივლისს CPV 32300000 კოდით („ტელე- და რადიოსიგნალის მიმღებები და აუდიო- ან ვიდეოგამოსახულების ჩამწერი ან აღწარმოების აპარატურა“) 57875,0 ლარის სავარაუდო ღირებულების თანხაზე (დღგ-ს გარეშე) გამოცხადებული NAT 220013746 ელექტრონული ტენდერის შედეგები. როგორც ეს შესყიდვების ელექტრონული სისტემიდან ირკვევა, მოცემულ ტენდერშიც მხოლოდ შპს „ინოვატორი“ იღებდა მონაწილეობას და გამარჯვებულადაც სწორედ იგი იქნა გამოვლენილი. (აჭარის ტელევიზიის სატენდერო კომისიის 2022 წლის 8 აგვისტოს სხდომის N3



ოქმი). აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც უკვე ზემოთ არის მითითებული, შპს „ინოვატორთან“ 2022 წლის 12 აგვისტოს გაფორმებულ იქნა სახელმწიფო შესყიდვის N02-22/172 ხელშეკრულება **67.584,0** ლარზე, დღგ-ს ჩათვლით. ხელშეკრულების საგანია სატელევიზიო კრანის მონიტორით (CPV 32324300) და ვიდეოჩამწერის (CPV 32333100) შესყიდვა. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 120 კალენდარული დღის ვადაში. სატენდერო დოკუმენტაციისა და ხელშეკრულების თანახმად საავანსო ანგარიშსწორება არ არის გათვალისწინებული. 2022 წლის 3 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტით დადასტურებულია საქონლის მიღება სახელშეკრულებო ღირებულების თანხაზე (**67.584,50** ლარზე). შემსყიდველის მიერ თანხა სრულად არის ანაზღაურებული 2022 წლის 25 ოქტომბერს.

იმავე ზემონახსენებ შპს „ინოვატორთან“ პრეისკურანტული წესით 2022 წლის 29 ივნისს გაფორმებულია ელექტრონული ტენდერის N02-22/141 ხელშეკრულებაც **15.000,0** ლარზე, დღგ-ს ჩათვლით. როგორც უკვე ამის შესახებ ზემოთ იყო აღნიშნული მოცემული ხელშეკრულების გაფორმებას საფუძველად უდევს აჭარის ტელევიზიის მიერ 2022 წლის 8 ივნისს გამოცხადებული NAT 220011038 პრეისკურანტული ელექტრონული ტენდერი საპრეისკურანტო სავარაუდო ღირებულებით **173.805** ლარი. შესყიდვის კატეგორია CPV 50300000 – „პერსონალური კომპიუტერების, საოფისე აპარატურის, სატელეკომუნიკაციო და აუდიოვიზუალური მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები“.

ზოგადი საერთო შესავლის სახით აღნიშნავთ, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონისა და მის საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მიღებული კანონქვემდებარე აქტის - ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი) ელექტრონული ტენდერი პრეისკურანტის საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს მითითებულ სამართლებრივ აქტებში N2 დანართით განსაზღვრული სამუშაოს ან მომსახურებისა და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, საცხებ-საპოხი მასალის შესყიდვის მიზნით. ელექტრონული ტენდერი შესაძლებელია ჩატარდეს პრეისკურანტის საფუძველზე. იმავე აქტებით აღნიშნულია, რომ სატენდერო პირობებით პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულება და შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულება შესაძლებელია განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. პრეისკურანტის წესით ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას პრეტენდენტის მიერ სისტემის მეშვეობით წარდგენილი წინადადების ფასი არ უნდა აღემატებოდეს პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებას. ელექტრონული ტენდერის პრეისკურანტის საფუძველზე ჩატარებისას სატენდერო კომისია სატენდერო დოკუმენტაციაში თავად განსაზღვრავს პრეისკურანტში მოცემული სამუშაოს ან მომსახურების ერთეულების ღირებულების დადგენის წესს გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემის მეშვეობით წარდგენილი წინადადების საბოლოო ფასთან მიმართებით.

როგორც ეს შესყიდვების ელექტრონული სისტემიდან ირკვევა, პრეისკურანტული წესით **173.805,0** ლარის სავარაუდო ღირებულების თანხაზე (სახელშეკრულებო სავარაუდო ღირებულება - **15.000,0** ლარი) გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობას იღებდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი - შპს „ინოვატორი“ და გამარჯვებულადაც სწორედ იგი იქნა გამოვლენილი (სატენდერო კომისიის 2022 წლის 22 ივნისის N2 ოქმი). ამ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა **15.000,0** ლარს დღგ-ს ჩათვლით. შესაბამისად, როგორც უკვე ზევით იყო ნახსენები, აღნიშნულ მიმწოდებელთან 2022 წლის 29 ივნისს გაფორმებულია ელექტრონული ტენდერის N02-22/141 ხელშეკრულებაც (პრეისკურანტით) **15.000,0** ლარზე, დღგ-ს ჩათვლით. აღნიშნავთ, რომ ტექნიკური დოკუმენტაციის 1.1 პუნქტის თანახმად შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს სატელევიზიო აპარატურის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება. ხელშეკრულების 2.1 პუნქტის თანახმად ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის სატელევიზიო აპარატურის შეკეთების მომსახურების (CPV 50341000) შესყიდვა. ხოლო შესასყიდი შესაკეთებელი აპარატურის ჩამონათვალი

და ერთეულის ღირებულებები, ასევე, სათადარიგო ნაწილების ერთეულის ღირებულებები მოცემულია მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ პრეისკურანტში. მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. სისტემაში ატვირთული დოკუმენტაციებით (მიღება-ჩაბარების აქტები და სასაქონლო ზედნადებები) ირკვევა, რომ აუდიტის ჩატარების დროისათვის მიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ ზემონახსენები ხელშეკრულების საფუძველზე აჭარის ტელევიზიისათვის გაწეული მომსახურების თანხა შეადგენს ჯამში სულ **1.990,0** ლარს (სახელშეკრულებო ღირებულება კი, როგორც ამის შესახებ ზევით იყო აღნიშნული **15.000,0** ლარს შეადგენდა. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით 2023 წლის 23 მარტის თარიღით ატვირთულია მიმწოდებელსა და აჭარის ტელევიზიას შორის გაფორმებული, 2022 წლის 14 ივლისის, 20 ოქტომბრის, 14 და 26 დეკემბრის უნომრო მიღება-ჩაბარებათა აქტები, რომელთა თანახმად დადასტურებულია შესაბამისად, **720,0** ლარის, **210,0** ლარის, **420,0** ლარისა და **590,0** ლარის (ანუ, ერთიანად **1.990,0** ლარის) ღირებულების მომსახურების გაწევა (სამუშაოების შესრულება). მიმწოდებლისათვის ანაზღაურებული თანხაც იგივე **1.990,0** ლარის ტოლია (სისტემაში ატვირთულია შესაბამისი ზედნადებებიც). მიღებული განმარტებით, დოკუმენტის სისტემაში გვიან ატვირთვა ტექნიკური მიზეზით არის გამოწვეული.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ სააქციო საზოგადოება „არდი დაზღვევასთან“ CPV 32300000 კოდით - „სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები“, 2021 წლის 31 დეკემბერს გაფორმებულ იქნა ელექტრონული ტენდერის N02-22/23 ხელშეკრულება **128.100,0** ლარზე (დღგ-ს გათვალისწინებით). დაფინანსების წყარო - 100% სახელმწიფო ბიუჯეტი. ხელშეკრულების გაფორმების საფუძველია აჭარის ტელევიზიის მიერ 2021 წლის 17 დეკემბერს გამოცხადებული NAT 210024916 ელექტრონული ტენდერის შედეგები. შესყიდვების ელექტრონული სისტემიდან ირკვევა, რომ მითითებულ ელექტრონულ ტენდერში (**128.100,0** ლარის სავარაუდო ღირებულების თანხაზე) მონაწილეობას იღებდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი - სს „არდი დაზღვევა“ და გამარჯვებულადაც სწორედ იგი იქნა გამოვლენილი. აღნიშნულ ორგანიზაციასთან 2021 წლის 31 დეკემბერს გაფორმებული ზემონახსენებული ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს თანამშრომლების (ასაკის შეუზღუდავად) ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურების შესყიდვა; ხელშეკრულების 3.3 პუნქტში აღნიშნულია, რომ „ხელშეკრულება ითვალისწინებს მზღვეველის ვალდებულებას გაუწიოს დაზღვეულს მისი ქონებრივი და ფინანსური ინტერესის დასაცავად, დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის სრულად ან პრემიის პირველი შენატანის გადახდისა და ხელშეკრულებაში შეთანხმებული გადახდის გრაფიკის დაცვის სანაცვლოდ ტექნიკურ დავალებასა და მზღვეველის მიერ გაცემულ სადაზღვევო პოლისში/ბარათში მითითებული სადაზღვევო მომსახურება, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და წესით“. ხელშეკრულების 8.1 პუნქტის თანახმად მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება უნდა განხორციელდებინა 2022 წლის 01 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. აჭარის ტელევიზიის მიერ ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით. ხელშეკრულების 9.8 პუნქტის თანახმად ანგარიშსწორება მოხდებოდა ეტაპობრივად (ყოველთვიურად) მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის და შესაბამისი ინვოისის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში არსებული მონაცემებიდან გამომდინარე სს „არდი დაზღვევას“ სასარგებლოდ ანაზღაურებულია **120.335,0** ლარი. გადახდები ნაწარმოებია 2022 წლის 24 იანვრიდან 2022 წლის 22 დეკემბრამდე (ჩათვლით) პერიოდში, სულ 12 შემთხვევაში.

ზევით უკვე აღნიშნული იყო აჭარის ტელევიზიის მიერ შპს „ულტრასთან“ ელექტრონული ტენდერის საფუძველზე 2022 წლის 11 მაისს გაფორმებული N02-22/115 ხელშეკრულების (**93.690,0** ლარზე, დღგ-ს გათვალისწინებით) ორგანიზაციული საფუძველიანობის შესახებ. გავიმეორებთ, რომ ამ ხელშეკრულების გაფორმების საფუძველია აჭარის ტელევიზიის მიერ 2022 წლის 5 აპრილს, CPV



30200000 კოდით („კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები“) **117.000,0** ლარის სავარაუდო ღირებულების თანხაზე გამოცხადებული NAT 220006778 ელექტრონული ტენდერის შედეგები. შესყიდვების სისტემის მონაცემების თანახმად აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობას 3 ორგანიზაცია იღებდა (პრეტენდენტების ვინაობა, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, NAT-ის მეთოდით ტენდერის ჩატარებისას, ცნობილი ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაფორმდება ხელშეკრულება გამარჯვებულ პრეტენდენტთან და იგი აიტვირთება სისტემაში). აღნიშნულ ტენდერში გამარჯვებული გამოვიდა შპს „ულტრა“, სატენდერო წინადადების ფასით 93690,0 ლარი (დანარჩენი 2 პრეტენდენტის - შპს „ორიენტ ლოჯისტიკა“ და შპს „ნოვენტიქ საქართველოს“ სატენდერო წინადადებები შესაბამისად **104.229,0** ათასი ლარი და **107.580,0** ლარი ყოფილა).

შპს „ულტრასთან“ 2022 წლის 11 მაისს გაფორმებული N02-22/115 ხელშეკრულების (**93.690,0** ლარზე, დღგ-ს ჩათვლით) 2.1 პუნქტის თანახმად ხელშეკრულების საგანია 9 ცალი სამუშაო სადგურის კომპლექტის შექმნა მუშა სადგურით, მონიტორით, კლავიატურით, მაუსით და დინამიკებით (CPV კოდი 30214000). ხელშეკრულების 4.1 პუნქტის თანახმად მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 150 კალენდარული დღის ვადაში. ხელშეკრულების 5.3 პუნქტის მიხედვით საქონელი მიღებულად ჩაითვლებოდა მხოლოდ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის დასახელების, რაოდენობისა და ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების ან/და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

შესყიდვების ელექტრონული სისტემიდან ირკვევა, რომ აჭარის ტელევიზიის მიერ მიმწოდებელზე 2022 წლის 22 ივნისს ანაზღაურებულია, სახელშეკრულებო სრული თანხა **93.690,0** ლარის ოდენობით.

ზემოთ მითითებული გვქონდა, რომ შპს „პატიო არტთან“ 2022 წლის 21 ივნისს გაფორმებულია ელექტრონული ტენდერის N02-22/133 ხელშეკრულება 75232,0 ლარზე (დღგ-ს ჩათვლით), CPV 45400000 კოდით „შენობის დასრულების სამუშაოები“. აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების საფუძველია ტელევიზიის მიერ 2022 წლის 23 მაისს, ზემომითითებული CPV კოდით **76.000,0** ლარის სავარაუდო ღირებულების თანხაზე გამოცხადებული NAT 220010017 ელექტრ. ტენდერის შედეგები.

შესყიდვების სისტემის მონაცემების თანახმად აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობას მხოლოდ ერთი ორგანიზაცია იღებდა (შპს „პატიო არტი“) და გამარჯვებულადაც (გარკვეული მოთხოვნილი სატენდერო ინფორმაციის დაზუსტების შემდეგ) შემსყიდველის სატენდერო კომისიის 2022 წლის 14 ივნისის N3 საოქმო გადაწყვეტილებით სწორედ იგი იქნა გამოვლენილი, სატენდერო წინადადების ფასით **75.232,0** ლარი. შესაბამისად, როგორც უკვე აღინიშნა, შპს „პატიო არტთან“ 2022 წლის 21 ივნისს გაფორმებულ იქნა კიდევ ელექტრონული ტენდერის N02-22/133 ხელშეკრულება **75.232,0** ლარზე (დღგ-ს ჩათვლით). ხელშეკრულების 2.1 პუნქტის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა აჭარის ტელევიზიის და რადიოს ადმინისტრაციულ შენობაში სატელევიზო გადაცემების სტუდიების (საინფორმაციო/ახალი ამბების, დილის და შუადღის) მოწყობის სამუშაოების (CPV კოდი 45451000 – „დეკორაციული სამუშაოები“) შესყიდვა ხელშეკრულებაზე თანდართული ხარჯთაღრიცხვისა და ესკიზის შესაბამისად. შესყიდვის ობიექტის მიწოდების საერთო ვადა იყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღე. ხელშეკრულების 5.2 პუნქტის თანახმად შესრულებული სამუშაოების მოცულობა, რაოდენობა და ღირებულება საბოლოო მიღება- ჩაბარების აქტის ან/და სხვა საგადასახადო დოკუმენტის შედგენამდე უნდა დადასტურებულიყო შემსყიდველის უფლებამოსილი პირის/პირების მიერ, ხოლო 5.3 პუნქტის მიხედვით ხელშეკრულების საგნის მიღება (როგორც სრული, ასევე ნაწილობრივი) უნდა გაფორმებულიყო შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ან/და სხვა საგადასახადო დოკუმენტის შედგენით.

აღვნიშნავთ, რომ მითითებული ხელშეკრულებაც, მსგავსად ყველა ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებისა, შესრულებულია და მიმწოდებელზე 2022 წლის 22 ივლისს ანაზღაურებულია სახელშეკრულებო თანხა **75.232,0** ლარი.

სააუდიტო პერიოდში აჭარის ტელევიზიის მიერ ელექტრონული ტენდერების საფუძველზე, როგორც უკვე ზევით იყო აღნიშნული, შპს „ვიდეოსკოპთან“ 4 ხელშეკრულება იქნა გაფორმებული. კერძოდ:

1) 2022 წლის 24 იანვარს დადებულია N02-22/34 ხელშეკრულება **28.602,0** ლარზე (დღგ-ს ჩათვლით). მოცემული ხელშეკრულების გაფორმების საფუძველია აჭარის ტელევიზიის მიერ 2021 წლის 31 დეკემბერს CPV 32300000 კოდით („ტელე-და რადიოსიგნალის მიმღებები და აუდიო- ან ვიდეოგამოსახულების ჩამწერი ან აღწარმოების აპარატურა“) **25.423,0** ლარის (დღგ-ს გარეშე) სავარაუდო ღირებულების თანხაზე გამოცხადებული NAT 210026155 ელექტრ. ტენდერის შედეგები. შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში არსებული მონაცემების თანახმად აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობას მხოლოდ ერთი ორგანიზაცია იღებდა (შპს „ვიდეოსკოპი“) და გამარჯვებულადაც (გარკვეული მოთხოვნილი სატენდერო ინფორმაციის დაზუსტების შემდეგ) შემსყიდველის სატენდერო კომისიის 2022 წლის 17 იანვრის N2 საოქმო გადაწყვეტილებით სწორედ იგი იქნა გამოვლენილი, სატენდერო წინადადების ფასით **28.602,0** ლარი. შესაბამისად, აჭარის ტელევიზიის მიერ 2022 წლის 24 იანვარს შპს „ვიდეოსკოპთან“ გაფორმებულ იქნა კიდევ N02-22/34 ხელშეკრულება **28.602,0** ლარზე (დღგ-ს ჩათვლით). ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა შესყიდვების CPV 32351000 კოდით BNC კონექტორის, XLR აუდიო კონექტორის (დედა), XLR აუდიო კონექტორის (მამა), აუდიო კონექტორის, აუდიო კაბელის და ვიდეო კაბელის შესყიდვა. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელებულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარული დღის ვადაში. შესყიდვების სისტემაში არსებული მონაცემების თანახმად აღნიშნული ხელშეკრულება შესრულებულია და მიმწოდებელზე ანაზღაურებულია **28.602,02** ლარი (მ.შ. 25 მარტს - **27.309,92** ლარი და 11 მაისს **1.292,10** ლარი). შევნიშნავთ, რომ მითითებულ მიმწოდებელს ტელევიზიის 2022 წლის 4 მაისის N02-12/105 წერილის თანახმად ხელშეკრულების ვადაში არშესრულების გამო დაეკისრა საპირგასამტეხლო ჯარიმის გადახდა სულ **8,58** ლარის ოდენობით. ასეთი შედარებით უმნიშვნელო თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი სისტემაში არ ჩანს (ინახება აჭარის ტელევიზიის საფინანსო სამსახურში);

2) 2022 წლის 11 მაისს შპს „ვიდეოსკოპთან“ გაფორმებულ იქნა N02-22/116 ხელშეკრულება **29.995,60** ლარზე (დღგ-ს ჩათვლით). მოცემული ხელშეკრულების გაფორმების საფუძველია აჭარის ტელევიზიის მიერ 2022 წლის 6 აპრილს CPV 32300000 კოდით („ტელე-და რადიოსიგნალის მიმღებები და აუდიო- ან ვიდეოგამოსახულების ჩამწერი ან აღწარმოების აპარატურა“) **2.5420,0** ლარის (დღგ-ს გარეშე) სავარაუდო ღირებულების თანხაზე გამოცხადებული NAT 220006833 ელექტრ. ტენდერის შედეგები. შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში არსებული მონაცემების თანახმად აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობას მხოლოდ ერთი ორგანიზაცია იღებდა (შპს „ვიდეოსკოპი“) და გამარჯვებულადაც (გარკვეული მოთხოვნილი სატენდერო ინფორმაციის დაზუსტების შემდეგ) შემსყიდველის სატენდერო კომისიის 2022 წლის 4 მაისის N3 საოქმო გადაწყვეტილებით სწორედ იგი იქნა გამოვლენილი, სატენდერო წინადადების ფასით **25.420,0** ლარი (დღგ-ს გარეშე). შესაბამისად, აჭარის ტელევიზიის მიერ 2022 წლის 11 მაისს შპს „ვიდეოსკოპთან“ გაფორმებულ იქნა კიდევ N02-22/116 ხელშეკრულება **29.995,60** ლარზე (დღგ-ს ჩათვლით). ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა 3 ერთეული ვიდეოკამერის შესყიდვა ტექნიკური პირობისა და ფასების შესაბამისად (CPV კოდი 32333200). საქონლის მიწოდება უნდა განხორციელებულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 კალენდარული დღის ვადაში. შესყიდვების სისტემაში არსებული მონაცემების თანახმად აღნიშნული ხელშეკრულება შესრულებულია და მიმწოდებელზე 2022 წლის 22 ივნისს ანაზღაურებულია სახელშეკრულებო თანხა **29.995,60** ლარი;

3) შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში არსებული ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ აჭარის ტელევიზიამ 2022 წლის 8 ივნისს გამოაცხადა NAT 220011737 ელექტრონული ტენდერი CPV 31400000 კოდით („აკუმულატორები, დენის პირველადი წყაროები და პირველადი ელემენტები“) **14.230,0** ლარის (დღგ-ს გარეშე) სავარაუდო ღირებულების თანხაზე. სისტემიდან ირკვევა, რომ მითითებულ ტენდერში მონაწილეობას მხოლოდ ერთი პრეტენდენტი - შპს „სონოიო“, რომლის მიერაც წარმოდგენილიყო სატენდერო წინადადება **13.550,0** ლარზე. შესაბამისად, მოცემულ ტენდერში გამარჯვებულადაც სწორედ ეს ორგანიზაცია გამოდიოდა. თუმცა, როგორც ეს სისტემაში ატვირთული, აჭარის ტელევიზიის 2022 წლის 24 ივნისის სხდომის N2 ოქმიდან ირკვევა, აღნიშნული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია შეიცავდა მთელ რიგ უზუსტობებს. ამიტომ მითითებული სხდომის გადაწყვეტილებით პრეტენდენტს მიეცა დავალება 28 ივნისამდე წარმოედგინა დაზუსტებული ინფორმაციები, რაც (როგორც ეს სატენდერო კომისიის 29 ივნისის N2 ოქმშია აღნიშნული) ამ პრეტენდენტის მიერ არ არის განხორციელებული. აღნიშნულიდან გამომდინარე შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად სატენდერო კომისიის 2022 წლის ზემონახსენები, 29 ივნისის N2 საოქმო გადაწყვეტილებით პრეტენდენტს გამოეცხადა დისკვალიფიკაცია. შედეგად, მითითებულ ტენდერს სისტემაში მინიჭებული აქვს სტატუსი „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“. ზემოაღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე აჭარის ტელევიზიის მიერ ზემომითითებულ შესყიდვაზე გამოცხადებულ იქნა 2022 წლის 1 ივლისს გამოცხადებულ იქნა ხელახალი ელექტრონული ტენდერი NAT 220012822, იგივე პირობებით და იგივე თანხაზე. მოცემული ტენდერში კი გაიმარჯვა ერთადერთმა მონაწილე პრეტენდენტმა შპს „ვიდეოსკოპმა“. (სატენდერო კომისიის 19 ივლისის სხდომის N2 ოქმი). აღნიშნულ ტენდერში შპს „ვიდეოსკოპის“ მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შეადგენდა გამოცხადებული სავარაუდო ღირებულების ზუსტად ადეკვატურ **14.230,0** ლარს (დღგ-ს გარეშე). შესაბამისად, 2022 წლის 25 ივლისს შპს „ვიდეოსკოპთან“ გაფორმებულ იქნა კიდევ მორიგი ხელშეკრულება (N02-22/162) **15.823,8** ლარზე, დღგ-ს ჩათვლით.

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ვიდეოკამერების აკუმულატორების შესყიდვა დამტენთან ერთად (CPV კოდი 31434000). საქონლის მოწოდება უნდა განხორციელებულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 60 დღისა. ხელშეკრულება ვადაშია შესრულებული და 2022 წლის 23 სექტემბერს ანაზღაურებულია სახელშეკრულებო თანხა **15.823,8** ლარის ოდენობით. შევნიშნავთ ასევე, რომ ხელშეკრულების 5.3 პუნქტის თანახმად საქონელი მიღებულად ჩაითვლებოდა მხოლოდ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის დასახელების, რაოდენობისა და ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის ან/და სხვა საგადასახადო დოკუმენტის გაფორმების შემდეგ. ეს დოკუმენტები კი მართალია სისტემაში არ არის ატვირთული, მაგრამ ინახება ადგილზე;

4) შპს „ვიდეოსკოპთან“ მორიგი, რიგით მეოთხე ხელშეკრულება (N02-22/240) გაფორმებულია 2022 წლის 5 დეკემბერს, **7.493,0** ლარზე (დღგ-ს ჩათვლით). მოცემული ხელშეკრულების გაფორმების საფუძველს კი წარმოადგენს აჭარის ტელევიზიის მიერ 2022 წლის 11 ნოემბერს CPV 31700000 კოდით („ელექტრონული, ელექტრომექანიკური და ელექტროტექნიკური საშუალებები“) 6690,0 ლარის სავარაუდო ღირებულების (დღგ-ს გარეშე) თანხაზე გამოცხადებული NAT 220023304 ელექტრონული ტენდერის შედეგები. შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ატვირთული, აჭარის ტელევიზიის სატენდერო კომისიის 2022 წლის 29 ნოემბრის სხდომის N2 ოქმის თანახმად აღნიშნულ ტენდერში გამარჯვებული გამოვიდა შპს „ვიდეოსკოპი“, სატენდერო წინადადებით **6.350,0** ლარი (როგორც ეს მასთან გაფორმებული ხელშეკრულების სისტემაში ატვირთვის მერე გახდა ცნობილი, აღნიშნულ ტენდერში თურმე მონაწილეობას იღებდა მეორე პრეტენდენტიც - შპს „5 ბ“, რომლის მიერაც წარდგენილი ყოფილა შედარებით მეტი სატენდერო ფასი - **6.620,0** ლარი). შპს „ვიდეოსკოპთან“ **7.493,0** ლარზე გაფორმებული ზემოთ აღნიშნული N02-22/240 ხელშეკრულების თანახმად ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ვიდეო სიგნალის კონვერტორის, ვიდეო სიგნალის



გამამრავლებლის (CPV კოდი 31711120 - გარდამქმნელები/მიმღებები/ტრანსდურესები) შესყიდვა. საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 კალენდარული დღის ვადაში. შესყიდვების ელექტრონული სისტემიდან ირკვევა, რომ მიმწოდებლიდან მოწოდებულ საქონელზე ტელევიზიის მიერ ანაზღაურება **7.493,0** ლარის ოდენობით მომხდარია 2023 წლის 22 თებერვალს. ცოტა უფრო ადრე კი, კერძოდ აჭარის ტელევიზიის მიერ მიმწოდებლის სახელზე გაგზავნილი 2023 წლის 31 იანვრის N02-12/26 წერილის თანახმად მიმწოდებლისადმი საქონლის დაგვიანებით მოწოდების გამო სულ დაკისრებულია საპირგასამტეხლო ჯარიმის გადახდა სულ **15** ლარის ოდენობით.

სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ატვირთული მონაცემებით ირკვევა, რომ აჭარის ტელევიზიის მიერ 2022 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად გაფორმებულია გამარტივებული შესყიდვითი ფორმის სულ 195 ხელშეკრულება (უფრო სწორად 2022 წელს გაფორმებულია 204 ხელშეკრულება, მაგრამ აქედან 9 ხელშეკრულება შეეხება 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვებს და მათი ანაზღაურებაც 2023 წლის სახსრებიდან მოხდება). აღნიშნულ ხელშეკრულებათა (204) საერთო ჯამობრივი ღირებულება შეადგენს **468.236,56** ლარს. აღნიშნული ხელშეკრულებებიდან 2022 წლის სახსრებიდან ანაზღაურებულია (აბსოლუტურად თითქმის სრულად) 195 ხელშეკრულების თანხა, ჯამური მოცულობით **393.598,20** ლარი. დანარჩენ 9 ხელშეკრულებაზე (რომლებიც 2022 წლის დეკემბრის ბოლოს არის გაფორმებული) საერთო სახელშეკრულებო თანხით **74.029,36** ლარი (აქედან ექსკლუზივის უფლებით, საავტორო უფლებათა ასოციაციასთან გაფორმებული 2 ხელშეკრულების მიხედვით **28.920,0** ლარი) გადახდები ხელშეკრულებათა თანახმად უნდა მოხდეს 2023 წელს. შევნიშნავთ, რომ სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის მონაცემების თანახმად 2022 წელს გამარტივებული შესყიდვითი სახით გაფორმებული და ამ ხელშეკრულებათა საფუძველზე 2022 წელსვე ასანაზღაურებელი თანხები მთლიანად არის ანაზღაურებული. ასევე შევნიშნავთ, რომ გამარტივებული შესყიდვითი კატეგორიით ექსკლუზივის უფლებით 2021 წლის დეკემბრის ბოლოსა და 2022 წელს გაფორმებულ იქნა 6 ხელშეკრულება, საერთო ჯამობრივი თანხით **290.120** ლარი, მათ შორის: 2021 წლის 16 დეკემბერს საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციასთან გაფორმებულ იქნა ორი ხელშეკრულება (უფრო სწორად სალიცენზიო შეთანხმება, ასოციაციის რეპერტუარს მიკუთვნებული მუსიკალური ნაწარმოებების საჯარო გადაცემის შესახებ. კერძოდ N5744/02-22/05 და N5744/02-22/06 სალიცენზიო შეთანხმებები, შესაბამისად **25.000,0** ლარზე და **9.000,0** ლარზე. აღვნიშნავთ, რომ მითითებული ხელშეკრულებების გამარტივებული ფორმით დადებაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან მიღებულია შესაბამისი თანხმობა 2021 წლის 9 დეკემბრის N3915 განკარგულების სახით (აჭარის ტელევიზიის მიერ SMP მოდულის მეშვეობით ელექტრონულად ატვირთული 2021 წლის 7 დეკემბრის N02-19/339 წერილი-დასაბუთების საპასუხოდ). პირველი სალიცენზიო შეთანხმებით ლიცენზიის საგნად მითითებულია, რომ „ასოციაცია 2022 წლის 01 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გასცემს ლიცენზიას მოსარგებლეზე სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო (რომელსაც გააჩნია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გაცემული შესაბამისი ლიცენზიის/ავტორიზაციის მოწმობა) საქართველოს ტერიტორიაზე ასოციაციის რეპერტუარს მიკუთვნებული მუსიკალური ნაწარმოებების სატელევიზიო ეთერის საშუალებით საჯარო გადაცემაზე (CPV კოდი 98110000 - კომერციული, პროფესიული და სპეციალიზებული ორგანიზაციების მიერ გაწეული მომსახურებები, SMP210003669)“. შესყიდვების ელექტრონული სისტემის თანახმად მითითებული სალიცენზიო შეთანხმების პირობები შესრულებულია. ზემოაღნიშნული მეორე სალიცენზიო N5744/02-22/06 შეთანხმებით ლიცენზიის საგნად მითითებულია, რომ „ასოციაცია 2022 წლის 01 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გასცემს მოსარგებლეზე ნებართვას (ლიცენზიას) ასოციაციის რეპერტუარს მიკუთვნებული მუსიკალური ნაწარმოებების საქართველოს ტერიტორიაზე მოსარგებლის საკუთრებაში არსებული შემდეგი რადიო სამაუწყებლო

არხ(ებ)ის საშუალებით საჯარო გადაცემის შესახებ: FM 104.5 - რადიო აჭარა (CPV კოდი 98110000 - კომერციული, პროფესიული და სპეციალიზებული ორგანიზაციების მიერ გაწეული მომსახურებები, SMP210003669)“. ელექტრონული სისტემის თანახმად აღნიშნული სალიცენზიო შეთანხმების პირობები შესრულებულია. 2021 წლის 29 დეკემბერს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან - აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველოსთან ექსკლუზივის კატეგორიით 2021 წლის 29 დეკემბერს გაფორმებულია N02-22/19 ხელშეკრულება დაცვის მომსახურების გაწევაზე - საზოგადოებრივი მაუწყებლის - აჭარის ტელევიზიის, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის რადიოსა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის „აჭარის თითების სატელევიზიო სტუდიის“ შენობების შენობების დაცვით მომსახურებაზე. აღნიშნული ხელშეკრულების პირობებიც შესრულებულია და მომსახურების გამწევ ხსენებულ უწყებაზე ანაზღაურებულია სრული სახელშეკრულებო თანხა - **199.200** ლარი (სხვათა შორის, სწორედ აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველოსთან გაფორმებული **199.200** ლარიან ხელშეკრულებაზე მოდის აჭარის ტელევიზიის მიერ 2022 წელს გამარტივებული შესყიდვების პოზიციით გაფორმებულ ხელშეკრულებათა საერთო ჯამობრივ ღირებულებათა ზემოაღნიშნული **468.236,56** ლარიდან მნიშვნელოვანი წილი (42,5%).

ზემოთ უკვე ნახსენებ საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციასთან 2021 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული და შესრულებული ზემოაღნიშნული ორი სალიცენზიო შეთანხმების ანალოგიური, ასევე ორი სალიცენზიო შეთანხმება იქნა გაფორმებული ექსკლუზივის კატეგორიით აღნიშნულ უწყებასთან 2022 წლის 20 დეკემბერსაც, შესაბამისად **28.000** ლარზე და **9.000** ლარზე. ორივე ამ შეთანხმების პირობების შესრულება უნდა მოხდეს 2023 წელს და ანაზღაურებაც 2023 წელს მოხდება 2023 წლის სახსრებიდან. ანალოგიურად, ზემოთ უკვე აღნიშნულ აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველოსთან ექსკლუზივის კატეგორიით არის გაფორმებული 2022 წლის 28 დეკემბრის N02-22/07 ხელშეკრულება **19.920,0** ლარზე. ხელშეკრულების პირობების შესრულება უნდა მოხდეს 2023 წელს და ანაზღაურებაც 2023 წელს მოხდება 2023 წლის სახსრებიდან. შევნიშნავთ, რომ აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველოსთან გაფორმებულ ხელშეკრულებებსაც საფუძვლად უდევს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან მიღებული შესაბამისი თანხმობები, შესაბამისად 2021 წლის 15 დეკემბრის N4030 და 2022 წლის 16 დეკემბრის N4222 თანხმობა განკარგულებები (აჭარის ტელევიზიის მიერ SMP მოდულის მეშვეობით ელექტრონულად ატვირთული, შესაბამისად 2021 წლის 10 დეკემბრის N02-19/342 და 2022 წლის 14 დეკემბრის N02-19/318 წერილი-დასაბუთებების საპასუხოდ).

შევნიშნავთ, რომ გამარტივებული შესყიდვების საფუძველზე 2022 წელს მონეტარულს ზღვარს ზემოთ (5.000 ლარი და მეტი) ხელშეკრულებები გაფორმებულია რიგ ორგანიზაციებთან. შპს „E-2010“-სთან 2020 წლის 18 ნოემბერს გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული სახის ორი ხელშეკრულება: N02-22/224 - **3.300,0** ლარზე და N02-22/225 - **2.200,0** ლარზე. ორივე ხელშეკრულებით გათავალისწინებულია ერთი და იგივე CPV 3911131100 კოდითა და ქვეკოდით ავეჯის (სავარძლები) შესყიდვა. ორივე ხელშეკრულება ვადაშია შესრულებული და აჭარის ტელევიზიის მიერ მიმწოდებლის სასარგებლოდ ანაზღაურებულია ჯამში **5.500** ლარი (3.300,0+2.200,0), დღგ-ს ჩათვლით. თუმცა, რადგანაც თანხები ანაზღაურებულია სხვადასხვა წყაროდან, მონეტარული ზღვრის საკითხები არ არის დარღვეული.

შპს „კვი პაქს გრუპისთან“ 2022 წლის 13 მაისს გაფორმებულ იქნა N02-22/117 ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც გათვალისწინებულია შესყიდვების CPV 39550000 კოდითა („უქსოვადი ნივთები“) და CPV 33600000 კოდით („ფარმაცევტული პროდუქტები“) საქონლის შეძენა. აღნიშნული ხელშეკრულების ღირებულება განსაზღვრულია **5.196** ლარით დღგ-ს ჩათვლით. ეს ხელშეკრულებაც შესრულებულია და მითითებული მიმწოდებლის სასარგებლოდ ვადაში ანაზღაურებულია **5.196** ლარი. რადგან მოცემულ შემთხვევაშიც მონეტარული ზღვარი 5000 ლარს აჭარბებს (თუმცა ცალ-



ცალკე კოდებით ყველაფერი წესრიგშია). თუმცა, რადგანაც თანხები ანაზღაურებულია სხვადასხვა წყაროდან, მონეტარული ზღვრის საკითხები არ არის დარღვეული.

მოცემულ თემასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ ასევე, რომ აჭარის ტელევიზიის მიერ 2022 წელს შპს „ორანიე ლეუსთან“ გამარტივებული სახის შესყიდვაზე გაფორმებულია (და თანხებიც ანაზღაურებულია) სულ 21 ხელშეკრულება, ჯამური თანხით **29.218** ლარი. თუმცა აქ ისიც ითქვას, რომ ეს შესყიდვები განხორციელებულია შესყიდვათა სხვადასხვა კოდებით. ანალოგიური ვითარებაა შპს „ფრანს ავტოსთან“ [2022 წელს მასთან გაფორმებულია **7.905,0** ლარის ჯამური ღირებულების 10 ხელშეკრულება და თანხებიც ანაზღაურებულია, შპს „პროვადიერ ჯი“-სთან (10 ხელშეკრულება, ჯამური თანხით **5.799,30** ლარი) და შპს „ეკონათებასთან“ (24 ხელშეკრულება, ჯამური თანხით **18.900,20** ლარი) მიმართებაშიც].

შევნიშნავთ ასევე, რომ 2022 წელს გაფორმებული ზემომითითებული გამარტივებული სახის 204 ხელშეკრულებიდან (საერთო ჯამობრივი თანხით **468.236,56** ლარი) რამდენიმე ხელშეკრულება მართალია მონეტარულ ზღვარს ზევით თანხაზეა გაფორმებული, მაგრამ ასეთი ხელშეკრულებები დადებულია კანონმდებლობით დაშვებული ექსკლუზივისა და გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შეთანხმების საფუძველზე (ექსკლუზივიანი შესყიდვების შესახებ უკვე ზევით იყო აღნიშნული). რაც შეეხება გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გაფორმებულ ხელშეკრულებებს, აქ უნდა აღინიშნოს, რომ შესყიდვების ელექტრონული სისტემის მონაცემების თანახმად მსგავსი მოტივით შესყიდვების სისტემაში რეგისტრირებულია მხოლოდ ერთი შესყიდვა, კომპიუტერული ანტივირუსული პროგრამის კოდით, მაგრამ მისი შესრულებაც არ არის განხორციელებული. უფრო სწორად, ანტივირუსული პროგრამის დაყენებასთან დაკავშირებით შესყიდვა განხორციელდა ჩვეულებრივი ელექტრონული ტენდერის გზით. კერძოდ კი, აღნიშნული მიზნობრიობით აჭარის ტელევიზიის მიერ 2022 წლის 23 თებერვალს გამოცხადებულ იქნა ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (განცხადების ნომერი NAT220003802; შესყიდვის კატეგორია: 48700000 - პროგრამული პაკეტების მომსახურე პროგრამები) – **15.130** ლარის სავარაუდო ღირებულებაზე. აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი - ა(ა)იპ „საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია - გრენა“ და ტენდერში გამარჯვებულადაც იგი იქნა გამოვლენილი, გამოცხადებული სატენდერო სავარაუდო ღირებულების ზუსტად ადექვატური ფასით, ანუ **15.130** ლარით. მითითებულ ორგანიზაციასთან 2022 წლის 8 აპრილს გაფორმებულ იქნა კიდევაც სახელმწიფო შესყიდვის N02-22/91 ხელშეკრულება **15.130** ლარზე, დღგ-ს ჩათვლით. ხელშეკრულება შესრულებულია და მიმწოდებლის სასარგებლოდ 2022 წლის 3 მაისს ანაზღაურებულია ხელშეკრულების ადექვატური **15.130** ლარი (დაფინანსების წყარო: საკუთარი შემოსავლები).

ცალკე გამოვთქვამთ შენიშვნას იმასთან დაკავშირებითაც, რომ ძალიან ბევრ შემთხვევაში გამარტივებული სახის შესყიდვების ხელშეკრულებების მონაცემების შესყიდვების სისტემაში ატვირთვისას ამ ხელშეკრულებებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ხელშეკრულებები ვადაში და ბოლომდეა შესრულებული, სისტემაში ნაცვლად სტატუსისა „შესრულებული ხელშეკრულება“, გააჩნიათ სტატუსი „მიმდინარე ხელშეკრულება“. დავამატებთ იმ გარემოებების შესახებ, რომ რიგი ხელშეკრულებების შემთხვევაში, მითითებულია, რომ სამუშაოთა შესრულების (საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის) დადასტურება მოხდება მიღება-ჩაბარებების აქტების, ან საანგარიშსწორებო-საგადასახადო დოკუმენტების საფუძველზე. თუმცა, პრაქტიკულად ასეთი დადასტურება ძირითადად წარმოებს მხოლოდ საანგარიშსწორებო-საგადასახადო დოკუმენტების მიხედვით. მიგვაჩნია, რომ სასურველი და აუცილებელი იყო მიღება-ჩაბარებების აქტების გაფორმება (თუნდაც მხოლოდ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის სახით), რომელშიც კრებსითად და მოკლედ ჩამოყალიბდებოდა თანხობრივ-ტექსტური შინაარსი სახელშეკრულებო-შესასრულებელ სამუშაოთა (გაწეულ მომსახურებათა; საქონლის მიწოდებათა) თაობაზე, მათ შორის გავრცელებული სანქციებისა და სხვა ასპექტების შესახებაც.

### კონსოლიდირებული ტენდერები:

ასეთ ტენდერებთან მიმართებაში უკვე აღნიშნული იყო, რომ კონსოლიდირებულ ტენდერებს ატარებს თვითონ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო. კონსოლიდირებული ტენდერების [ნავთობპროდუქციის (საწვავის); სტანდარტული პერსონალური და პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების; ფიჭური სატელეფონო მომსახურების; საბეჭდი ქაღალდის და ა.შ. შესყიდვების თაობაზე] გამოიცემა შესაბამისი ნორმატიული და სახელმძღვანელო აქტები საქართველოს მთავრობისა და მის საფუძველზე კი - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ. კონსოლიდირებული წესით განსახორციელებელი შესყიდვების ჩატარებისას კი კონსოლიდირებულ ტენდერებში გამარჯვებულ ორგანიზაციებთან კი შემსყიდველები (მათ შორის, ცხადია აჭარის ტელევიზიაც) ფაქტობრივად სავალდებულო წესით აფორმებენ შესაბამის ხელშეკრულებებს. შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ატვირთული მონაცემებიდან გამომდინარე დგინდება, რომ 2021 წლის 16 დეკემბრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე პერიოდში 2022 წლის დაფინანსების ხარჯზე კონსოლიდირებული ტენდერების მიხედვით აჭარის ტელევიზიის მიერ გაფორმებულ იქნა სულ 31 ხელშეკრულება, მთლიანი ჯამური საორიენტაციო ღირებულებით **541.500,79** ლარი. აქედან, 2022 წელს გაფორმებული და 2022 წელსვე ასანაზღაურებელი ხელშეკრულებები 24 ერთეულით განისაზღვრება, ჯამური საორიენტაციო ღირებულებით **287.102,36** ლარი. 7 ხელშეკრულება კი მართალია 2022 წელს არის გაფორმებული (დეკემბრის თვეში), მაგრამ ამ ხელშეკრულებათა (მათი ჯამური საორიენტაციო ღირებულება შეადგენს **254.398,43** ლარს) შესრულება აღნიშნულ ხელშეკრულებათა შესაბამისად 2023 წელს მოხდება, 2023 წლის სახსრებიდან. 2022 წელს შესასრულებელი ზემოაღნიშნულების მიხედვით ყველა ხელშეკრულება თითქმის სულ ბოლომდეა შესრულებული და მათ ასანაზღაურებლად 2022 წლის სახსრებით გადახდილია **277.137,72** ლარი. აღვნიშნავთ, რომ კონსოლიდირებული ტენდერების საფუძველზე აჭარის ტელევიზიის მიერ გაფორმებულია ხელშეკრულებები:

საწვავის (ბენზინი პრემიუმში) შექმენასთან დაკავშირებით - შპს „რომპეტროლ საქართველოსთან“ 2021 წლის 30 დეკემბერს კონსოლიდირებული ტენდერის საფუძველზე გაფორმებულია N02-22/17 ხელშეკრულება (აღნიშნული კონსოლიდ. ტენდერის სარეგ. ნომერი: CON210000489; შესყიდვის კატეგორია: CPV კოდი 09132000) – **154.998,36** ლარზე დღგ-ს ჩათვლით. (უფრო სწორად, მითითებული ხელშეკრულებით სახელშეკრულებო თანხა თავდაპირველად შეადგენდა **129.998,36** ლარს და მხარეთა შორის 2022 წლის 17 ოქტომბერს გაფორმებული შეთანხმებით იგი გაზრდილ იქნა **25.000** ლარით და საბოლოოდ მითითებული ხელშეკრულების თანხად განსაზღვრულ იქნა **154.998,36** ლარი). ხელშეკრულება შესრულებულია და აჭარის ტელევიზიის მიერ ანაზღაურებული თანხა შეადგენს **153.316,65** ლარს (გადახდები ნაწარმოებია 2022 წელს 13 შემთხვევაში). ანაზღაურებული თანხა **1.681,71** ლარით ნაკლებია სახელშეკრულებოზე; მითითებული შესყიდვა განხორციელებულია „კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების“, აგრეთვე „2021, 2022 და 2023 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 22 ნოემბრის №2049 განკარგულების საფუძველზე.

2022 წელში დიზელის საწვავის შექმენასთან დაკავშირებით კი აჭარის ტელევიზიის მიერ 2021 წლის 29 დეკემბერს შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიასთან“ გაფორმებულ იქნა N02-22/15 ხელშეკრულება (CON210000492; CPV 09100000) – **36.447,0** ლარზე დღგ-ს ჩათვლით. (უფრო სწორად, მითითებული ხელშეკრულებით სახელშეკრულებო თანხა თავდაპირველად შეადგენდა **34.447,0** ლარს და მხარეთა შორის 2023 წლის 16 იანვარს გაფორმებული შეთანხმებით იგი გაზრდილ იქნა **2.000,0** ლარით და საბოლოოდ მითითებული ხელშეკრულების თანხად განსაზღვრულ იქნა **36.447,0** ლარი). ხელშეკრულება ბოლომდეა შესრულებული და აჭარის ტელევიზიის მიერ ანაზღაურებულია **36.432,58** ლარი (გადახდები ნაწარმოებია 2022 წელს 15 შემთხვევაში);

2022 წელსვე ბენზინის შეძენასთან შეძენასთან დაკავშირებით 2022 წლის 1 აპრილს შპს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასთან“ გაფორმებულ იქნა N02-22/84 ხელშეკრულება (CON210000487; CPV 09132000 - ბენზინი) – **6.312,50** ლარზე დღგ-ს ჩათვლით. (უფრო სწორად, მითითებული ხელშეკრულებით სახელშეკრულებო თანხა თავდაპირველად შეადგენდა **9.888,0** ლარს (2400 ლიტრი „სუპერის“ მარკის საწვავის მოწოდებაზე). მხარეთა შორის 2022 წლის 2 ნოემბერს გაფორმებული დამატებითი შეთანხმებით შეთანხმებით მოასწოდებელი საწვავის ლიტრაჟი განისაზღვრა 1600,03 ლიტრით, ანუ შემცირდა 799,97 ლიტრით და შესაბამისად შემცირებულ იქნა სახელშეკრულებო თანხაც და იგი საბოლოოდ **6.312,50** ლარით განისაზღვრა). აღნიშნული ხელშეკრულებაც ბოლომდე შესრულებული და აჭარის ტელევიზიის მიერ ანაზღაურებულია **6.312,50** ლარი (გადახდები ნაწარმოებია 2022 წელს 3 შემთხვევაში, 17.05-დან 14.07-ის ჩათვლით). მითითებული ხელშეკრულების გარშემო შევნიშნავთ ასევე, რომ ამ ხელშეკრულების თანახმად საწვავის მოწოდება (ავტორიზებული ავტომანქანების აღჭურვა საწვავით, აგაი-სისტემის ფორმით) უნდა მომხდარიყო 2022 წლის 31 ივნისის ჩათვლით. სისტემაში არსებული შესრულების მონაცემების - ნავთობპროდუქტების სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების (ატვირთულია 3 ანგარიშ-ფაქტურა, რომელთა გამოწერის თარიღებია 2022 წლის 6 მაისი, 6 ივნისი და 7 ივლისი) თანახმად მოწოდებულია 1600,03 ლიტრი ბენზინი (თუმცა, ხელშეკრულების ძალით, სახელშეკრულებო ვადებში უნდა მომხდარიყო **9.880,0** ლარის ღირებულების 2400 ლიტრი საწვავის მოწოდება), სულ **6.312,12** ლარის ჯამური ღირებულებით. რადგან სახელშეკრულებო რაოდენობიდან გამომდინარე ამ ორგანიზაციისაგან დანარჩენი სხვაობის საწვავის (799,97 ლიტრი) მოწოდება არ მომხდარა, რისი მიზეზების თაობაზეც ინფორმაცია სისტემაში არ არის, მხარეებმა მოგვიანებით, კერძოდ კი 2022 წლის 2 ნოემბერს გააფორმეს ზემოხსენებული შეთანხმება ფაქტობრივად უკვე მოწოდებულ რაოდენობაზე (თანაც ხელშეკრულების მოქმედების ვადა, რომელიც თავდაპირველად 2022 წლის 31 ივლისამდე იყო განსაზღვრული, 2022 წლის 15 დეკემბრამდე გადასწიეს) და შესაბამისად დააფიქსირეს 2022 წლის 7 ივლისისათვის უკვე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა მოწოდებულ საწვავზე.

იმავე შპს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასთან“ 2022 წლის 1 ივლისს გაფორმებულია N02-22/143 ხელშეკრულება (CON210000487; CPV 09132000 - ბენზინი) – **10.968,0** ლარზე. ხელშეკრულების თანახმად მოსაწოდებელი „სუპერის“ მარკის საწვავის სავარაუდო რაოდენობა განსაზღვრულია 2400 ლიტრით. მოცემული ხელშეკრულებაც შესრულებულია, თუმცა კი სისტემაში ატვირთული ნავთობპროდუქტების სპეციალური ანგარიშ-ფაქტურების თანახმად მოწოდებულია სულ 1930 ლიტრი საწვავი (ანუ სახელშეკრულებო სავარაუდო რაოდენობასთან შედარებით 470 ლიტრით ნაკლები). შესაბამისად მიმწოდებლის სასარგებლოდ აჭარის ტელევიზიის მიერ ანაზღაურებულ იქნა **7.135,30** ლარი (2022 წელს, 3 შემთხვევაში), ანუ სახელშეკრულებოსთან შედარებით 3832,70 ლარით ნაკლები.

2022 წლის 30 მარტს შპს „თეგეტა რითეილთან“ გაფორმებულია N02-22/84 ხელშეკრულება (CON220000026; CPV 34300000 - ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის) – **646,0** ლარზე. ხელშეკრულება შესრულებულია და ანაზღაურებულია **646,0** ლარი (1 შემთხვევა). შევნიშნავთ, რომ შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში მოცემულ ხელშეკრულებას და ასევე ზემოაღნიშნულ 2022 წლის 1 აპრილის ხელშეკრულებას შპს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასთან“ **6.312,50** ლარზე, ერთი და იგივე ნომერი გააჩნიათ (N02-22/84), თუმცა თარიღები სწორად არის მითითებული.

სახელმწიფო შესყიდვების სისტემის საგანაცხადო პორტალზე CON210000540-00234 და CON210000540-00258 სარეგისტრაციო ნომრებით დარეგისტრირებულია შპს „თეგეტა რითეილთან“ 2022 წლის 11 იანვრის თარიღით გაფორმებული (როგორც ეს აღნიშნულ პორტალზეა ნაჩვენები) ორი ხელშეკრულება, შესაბამისად **5.626,0** ლარზე და **2.145,0** ლარზე, ანუ ორივეს ჯამი შეადგენს **7.771,0**



ლარს. **5.626,0** ლარიან შესყიდვაზე შესყიდვის კატეგორიად მითითებულია 09200000 – „ნავთობი, ქვანახშირი და ნავთობპროდუქტები“, ხოლო **2.145,0** ლარიან შესყიდვაზე კი შესყიდვის კატეგორიად მითითებულია 42900000 – „სხვადასხვა ზოგადი და სპეციალური დანიშნულების მანქანა-დანადგარები“. შევნიშნავთ, რომ შესყიდვების პორტალზე მითითებული სარეგისტრაციო ნომრებით დარეგისტრირებულ კონსოლიდირებულ შესყიდვებზე აჭარის ტელევიზიის მიერ მიმაგრებულია ერთი ხელშეკრულება, კერძოდ შპს „თეგეტა რითეილთან“ გაფორმებული 2022 წლის 13 იანვრის N02-22/28 ხელშეკრულება **7.771,0** ლარზე. ხელშეკრულების საგანია სატრანსპორტო საშუალებების ძრავის ზეთებისა და ზეთის ფილტრების (CPV 09200000, 42900000) შესყიდვა თანმდევი მომსახურებით (ძრავის ზეთისა და ფილტრის შეცვლა). შევნიშნავთ, რომ აღნიშნული სახელშეკრულებო **7.771,0** ლარი წარმოადგენს სწორედ ზემოთ მითითებული **5.626,0** ლარისა და **2.145,0** ლარის ჯამს. დავამატებთ იმ გარემოების შესახებ, რომ მითითებული ორივე შესყიდვის (ფაქტობრივად კი ერთი შესყიდვის) საკანონმდებლო საფუძველს, როგორც ეს უკვე ხსენებულ, 13 იანვრის N02-22/28 ხელშეკრულების პრეამბულაშია ნათქვამი, წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის №14 ბრძანებით დამტკიცებული „კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობები“, აგრეთვე, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 22 ნოემბრის N2049 განკარგულების „2021, 2022 და 2023 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ პირველი მუხლის „დ“ ქვეპუნქტი („სატრანსპორტო საშუალებების ძრავის ზეთებისა და ზეთის ფილტრების სახელმწიფო შესყიდვის 2022 წლის კონსოლიდირებული ტენდერები“). შევნიშნავთ, რომ შესყიდვების პორტალზე მითითებულ ზემოაღნიშნული ორივე შესყიდვის ფაქტობრივი გადახდების თანხობრივი მონაცემები არეულად არის მიმაგრებული. კერძოდ, **5.626,0** ლარიან შესყიდვაზე მიმწოდებლისათვის ფაქტობრივ გადახდად იჩვენება ჯამში 2609,80 ლარი (სწორედ ამდენი გამოდის შპს „თეგეტა რითეილის“ სასარგებლოდ აჭარის ტელევიზიის მიერ 2022 წელს გაწეულ გადახდათა მიხედვით 69 შემთხვევის ჯამში), ხოლო **2.145,0** ლარიან შესყიდვაზე კი სისტემაში ნაჩვენები გადახდების ჯამური თანხა მოცემული ორგანიზაციის სასარგებლოდ **4.862,0** ლარის ტოლი გამოდის (34 შემთხვევა). ე.ი. ტელევიზიის მიერ ანაზღაურებული თანხა სულ **7.471,80** ლარის ტოლია.

2022 წლის 11 იანვარს აკუმულატორების შეძენასთან დაკავშირებით შპს „თეგეტა ტრეველთან“ გაფორმებულია N02-22/27 ხელშეკრულება (CON210000539; CPV 31400000) – **1.812,0** ლარზე დღგ-ს ჩათვლით. (უფრო სწორად, მითითებული ხელშეკრულებით სახელშეკრულებო თანხა თავდაპირველად შეადგენდა **1.656,0** ლარს და მხარეთა შორის 2022 წლის 9 ნოემბრის შეთანხმებით იგი გაზრდილ იქნა **156,0** ლარით და საბოლოოდ მითითებული ხელშეკრულების თანხად განსაზღვრულ იქნა **1.812,0,0** ლარი). ხელშეკრულება შესრულებულია და აჭარის ტელევიზიის მიერ ანაზღაურებულია **1.396,0** ლარი (გადახდები ნაწარმოებია 2022 წელს 9 შემთხვევაში). ანუ, გადახდილია **416,0** ლარით ნაკლები.

ფიჭური სატელეფონო მომსახურების თაობაზე შპს „მაგთიკომთან“ 2021 წლის 16 დეკემბერს გაფორმებულია N02-22/07 ხელშეკრულება (CON17000015; CPV 64200000) – **29.000,0** ლარზე დღგ-ს ჩათვლით. (უფრო სწორად, მითითებული ხელშეკრულებით სახელშეკრულებო თანხა თავდაპირველად შეადგენდა **18.000,0** ლარს და მხარეთა შორის 2022 წლის 28 ივნისს გაფორმებული შეთანხმებით იგი გაზრდილ იქნა **11.000,0** ლარით და საბოლოოდ მითითებული ხელშეკრულების თანხად განსაზღვრულ იქნა **29.000,0** ლარი). ეს ხელშეკრულებაც თითქმის სულ ბოლომდეა შესრულებული და აჭარის ტელევიზიის მიერ ანაზღაურებულია **28.802,03** ლარი (გადახდები ნაწარმოებია 2022 წელს, 24 შემთხვევაში). ანაზღაურებული თანხა სულ **197,97** ლარით ნაკლებია სახელშეკრულებოზე (აქაც რაოდენობა საორიენტაციოა და ზუსტად მითითება შეუძლებელია). მითითებული შესყიდვა განხორციელებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს

კანონის 202-ე მუხლის, „2018–2019 წლებში ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 იანვრის №225 განკარგულებისა და „ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 26 დეკემბრის N18 ბრძანების საფუძველზე. შევნიშნავთ, რომ „მაგთიკომთან“ გაფორმებული ეს ხელშეკრულება ფაქტობრივად წარმოადგენს ამავე ორგანიზაციასთან 2018 წლის 1 მარტს დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (CON170000115) N02-22/08 ხელშეკრულების გაგრძელებას და ეს გაგრძელება წარმოებს მითითებული ტენდერით გათვალისწინებული ტარიფებისა და პირობების შესაბამისად.

2022 წლის მარტში კონსოლიდირებული ტენდერის საფუძველზე შპს „ემგ“-სთან“ გაფორმებულია ორი ხელშეკრულება (ეს შესყიდვები, როგორც ეს ამ ხელშეკრულებათა პრეამბულაშია მითითებული ნაწარმოებია „2022 წლის განმავლობაში სხვადასხვა სახის ავეჯის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 14 დეკემბრის №2216 განკარგულების საფუძველზე): კერძოდ 14 მარტის თარიღით - N02-22/65 ხელშეკრულება (CON210000890; CPV-ის კოდები: 39112000 - სკამები; 39113100 - სავარძლები) – **4.000,0** ლარზე; ბ) 7 მარტს - N02-22/66 ხელშეკრულება (CON210000889; CPV -ის კოდები: 39121000-საწერი მაგიდები და მაგიდები, 39130000-საოფისე ავეჯი, 39132100-დოკუმენტების შესანახი კარადები, 39134100-კომპიუტერის მაგიდები) – **9.735,0** ლარზე. ორივე ხელშეკრულება სრულად არის შესრულებული და მიმწოდებლისათვის ვადაშია ანაზღაურებული, შესაბამისად **4.000,0** ლარი (ერთი გადახდით 2022 წლის 22 ივნისს) და **9.735,0** ლარი (ესეც ერთი გადახდით იმავე 22 ივნისს). სისტემაშია ატვირთულია საქონლის მოწოდების დამადასტურებელი სასაქონლო ზედნადებებიც.

საბოლოოდ აღვნიშნავთ, რომ აჭარის ტელევიზიის მიერ 2022 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების თემატიკის შესწავლით (რაც ჩატარებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებპორტალზე ატვირთული მასალებიდან გამომდინარე) არსებითი და მნიშვნელოვანი ხასიათის შენიშვნები არ დაფიქსირებულა. აუდიტის მიერ გამოთქმულ იქნა რიგი მითითებები და რეკომენდაციები, რაც ასახულია სახელმწიფო შესყიდვის მიმოხილვითი ნაწილის შესაბამის პოზიციებში. დასასრულს აღვნიშნავთ იმის შესახებაც, რომ აჭარის ტელევიზიის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების თაობაზე შედარებით უფრო ვრცელი და დეტალური მიმოხილვის მასალები ჩვენს მიერ ცალკე პოზიციით არის გადაცემული აჭარის ტელევიზიის შესყიდვების განყოფილებაზე.



## ნაწილი IV

### 2022 წლის განმავლობაში ხელშეკრულებების, მემორანდუმებისა და სხვა გარიგებების (გაცვლითი ოპერაცია/ბარტერი, იჯარა) საფუძველზე განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობა მარეგულირებელ კანონმდებლობასთან

- ❖ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მიერ **2022 წელს** დადებულია ურთიერთთანამშრომლობის შესახებ **1 წლიანი მემორანდუმი**:
  - # 02-06/32(01) - სსიპ „ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი“ - (ს/კ 245429059) – **23.02.2022 წ. - 23.02.2023 წ.**

- მემორანდუმის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- ✓ შემოქმედებითი საქმიანობისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებას;
- ✓ ერთობლივი შემოქმედებითი და კულტურის განვითარების პროგრამების მომზადებასა და განხორციელებას;
- ✓ დაგეგმილი რეპერტუარის ფარგლებში გათვალისწინებულ სპექტაკლებზე მაცურებელთა მაქსიმალურ მოზიდვასა და დასწრებას.

ა) თეატრი იღებს ვალდებულებას, მაუწყებელს წინასწარი შეთანხმებისა და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე დაუთმოს სცენა, ასევე ჰოლი გადაცემების, სიუჟეტების ან კლიპების გადასაღებად.

მაუწყებელს დართოს ნება, გამოიყენოს მაუწყებლის მიერვე არქივისთვის გადაღებული სპექტაკლი.

ბ) მაუწყებელი იღებს ვალდებულებას, განახორციელოს ყოველი ახალი სპექტაკლის ერთხელ ჩაწერა-გადაღება პროფესიონალურად, რომელიც შეინახება თეატრის არქივში.

მაუწყებელი მოახდენს ყველა პრემიერის თუ გასტროლის თემატურად გაშუქებას საავტორო გადაცემებში და საინფორმაციო გამოშვებებში.

- „თეატრი“ და „მაუწყებელი“ იღებენ ვალდებულებას, საკუთარ ინტერნეტ საიტებზე განათავსონ ერთმანეთის ვებ-გვერდის საინფორმაციო ბანერები, ასევე განახორციელონ მჭიდრო თანამშრომლობა სოციალურ ქსელებში.

მხარეებმა საქმიანობა წარმართეს პარტნიორობის, ურთიერთპატივისცემისა და ერთმანეთის საქმიანობაში ჩაურევლობის პრინციპებზე დაყრდნობით.

- ❖ **2022 წელს** სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მხრიდან დადებულია **გარე წარმოების** (სალიცენზიო შეთანხმებების ჩათვლით) **43** ხელშეკრულება (ჯამური ღირებულება: **1.193.845,50** ლარი). 2021 წელს გაფორმებული იყო **41** ხელშეკრულება -**921.498,10** ლარი. ღირებულება **გაზრდილია 272.347,40** ლარით. იხილეთ დანართი №1:

**დანართი N1**

#	ორგანიზაცია	შინაარსი	ხელშ. თარიღი	მომსახურების პერიოდი	თანხა (ლარი)
1	შპს „ჯი ემ აი“	მუსიკალური ფონის გამოყენების ლიცენზია	10.01.2022	10.01.2022-10.01.2023	10 000
2		მუსიკალური ნაწარმოები „მსხალის“ გამოყენება	28.03.2022	01.03.2022-31.08.2022	-
3		მუსიკალური ნაწარმოების ლიცენზია	26.09.2022	27.09.2022	413
4		მუსიკალური ფონის გამოყენების ლიცენზია	22.12.2022	27.12.2022	6 667
5			22.12.2022	27.12.2022	5 900
6			22.12.2022	27.12.2022	590
7	შპს „ენ რეკორდსი“	ფილმების მოწოდება სამეურადი ჩვენებით	01.03.2022	01.03.2022-31.12.2022	899 099,90
8	შპს „მოამბე“	შემეცნებით-გასართობი გადაცემები - "ზათუმური დღიურები" 40 გადაცემა რადიოში	02.03.2022	20.06.2022	13 000
9			13.09.2022	20.12.2022	13 000
10	ი/მ ქეთევან სიბაშვილი	მუსიკალური ნაწარმოებების ჩვენების უფლების შეძენის ხარჯი ერთი წლის ვადით	28.03.2022	01.04.2022	1 000
11	შპს „ინოვატორი“	რადიოვიზუალიზაციის პროგრამის 1 წლიანი ტექნიკური მხარდაჭერა	10.05.2022	14.05.2022	2 560
12	შპს „newpost ნიუპოსტი“	სატელევიზიო პროდუქციის გავრცელების/ტრანსლირების მომსახურება	07.06.2022	07.06.2022-30.11.2022	1 500
13	ფ/პ ნოდარ სიმსივე	საფეხბურთო მატჩის- რეპორტაჟის კომენტატორობა	06.07.2022	06.07.22; 13.07.22	770
14	შპს „ჯი-ეფ-ემ სტუდიო“	საფეხბურთო მატჩის- რეპორტაჟის კომენტატორობა	12.07.2022	13.07.2022	18 900
15			25.07.2022	28.07.2022	18 900
16	ი/მ დავით ჟორჟოლაძე	შემეცნებით-გასართობი გადაცემები ქართული ესტრადის თემაზე რადიოში	14.07.2022	19.12.2022	12 000
17	ი/მ მერი ნაკაშიძე	ერთჯერადად გადაცემის ჩვენებასთან დაკავშირებით სატელევიზიო მაკიაჟის/გრემის გაცემა	14.07.2022	29.07.2022	203
18	ფ/პ ირაკლი ფოფხაძე	საფეხბურთო მატჩის- რეპორტაჟის კომენტატორობა	20.07.2022	21.07.2022	385
19			28.07.2022	28.07.2022	385
20	ფ/პ ტიტე კომახიძე	სატელევიზიო პროდუქციის შესაქმნელად საჭირო მომსახურების- მსახიობის მიერ გაწეული მომსახურების შეძენა	29.07.2022	09.08.2022	260
21	ი/მ მიხეილ გოგიტიძე	გადასაღები მოედნის დეკორაციული გაფორმება	01.09.2022	01.09.2022-15.09.2022	2 150
22	ფ/პ ჯემალ ველიაძე	რადიო პროდუქციის შესაქმნელად საჭირო მომსახურების- მსახიობის მიერ გაწეული მომსახურების შეძენა	13.10.2022	20.10.2022	385
23	შპს „ჯორჯიან ბიზნეს ენდ პოლიტიკალ ინსაით - BPI“ (იხ. შენიშვნა #1)	გადაცემები ეკონომიკის თემაზე	21.10.2022	21.10.2022-31.12.2022	95 920
24	ფ/პ დათო ევგენიძე	მუსიკალური ნაწარმოები - 6 ერთეული	21.11.2022	31.12.2022	15 000
25	ი/მ ვახტანგ ნარსია	სატელევიზიო საახალწლო გადაცემის შესაქმნელად საჭირო მომსახურების შეძენა	12.12.2022	10.12.2022-20.12.2022	5 000
26	შპს „პულ ჰაუსი“	სატელევიზიო პროდუქციის შესაქმნელად (სახალწლო გადაცემა) საჭირო მომსახურების-გადასაღები მოედნის მოწყობის სამუშაოების შესრულება	14.12.2022	15.12.2022-16.12.2022	13 637,60

27	ფ/პ არჩილ გოგიტიძე	სატელევიზიო გადაცემისთვის მუსიკალური ნაწარმოებების გამოყენების უფლების შეძენა ერთი წლის ვადით	15.12.2022	15.12.2022-16.12.2022	1 025	
28	ფ/პ ნუკრი კაპანაძე		15.12.2022	15.12.2022-16.12.2022	3 830	
29	ფ/პ გიორგი ნაკაშიძე		15.12.2022	15.12.2022-16.12.2022	1 025	
30	ფ/პ ანი კეკუა		15.12.2022	15.12.2022-16.12.2022	1 025	
31	ფ/პ ლაურა რეხვიაშვილი		15.12.2022	15.12.2022-16.12.2022	1 875	
32	ფ/პ ნანული სარაჯიშვილი		15.12.2022	15.12.2022-16.12.2022	1 875	
33	ფ/პ მერაბ დოლიძე		15.12.2022	15.12.2022-16.12.2022	1 025	
34	ფ/პ ავთანდილ აბესლამიძე		15.12.2022	15.12.2022-16.12.2022	1 025	
35	ფ/პ ანრი გუჩმაანიძე		15.12.2022	15.12.2022-16.12.2022	1 025	
36	ი/მ გიორგი წიკლაური		15.12.2022	15.12.2022-16.12.2022	1 500	
37	ფ/პ ნუგზარ ერგემლიძე		15.12.2022	15.12.2022-16.12.2022	1 875	
38	ფ/პ თეიმურაზ თათარაშვილი		15.12.2022	15.12.2022-16.12.2022	1 915	
39	შპს „აპოლონის სახლი“		საახალწლო თემატიკის პროგრამათაშორისი არტის მომზადება	16.12.2022	22.12.2022	17 400
40	ი/მ დავით ნაკაშიძე		სატელევიზიო საახალწლო გადაცემის შესაქმნელად საჭირო მომსახურების შეძენა	23.12.2022	23.12.2022-26.12.2022	12 200
41	ფ/პ პაატა ძიძიგური		სატელევიზიო გადაცემისთვის მუსიკალური ნაწარმოებების გამოყენების უფლების შეძენა ერთი წლის ვადით	26.12.2022	26.12.2022	2 550
42	ფ/პ ნიკო ბერიძე			26.12.2022	26.12.2022	2 550
43	ი/მ ირაკლი ფაღავა (იხ. შენიშვნა 7)			26.12.2022	26.12.2022	2 500
					<b>1 193 845,50</b>	

**შენიშვნა #1:** შპს „ჯორჯიან ბიზნეს ენდ პოლიტიკალ ინსაით - BPI“ -თვის (ს/კ 400033806) 2022 წლის 30 ნოემბრის #02-17/694 მიღება-ჩაბარების აქტით, **01 დეკემბერს**, გადახდილია **17.440** ლარი, ხოლო **23 დეკემბრის #02-17/776** მიღება-ჩაბარების აქტით - **47.960** ლარი, სულ - **65.400** ლარი. აუდიტური შემოწმებისას გარეწარმოების ხელშეკრულებებში აღმოჩენილი იქნა ტექნიკური ხარვეზი.

2022 წლის **02 მარტი**, #02-21/03 და **13 სექტემბერი**, #02-21/17. „დამკვეთი“ - შპს „მოამბე“ (ს/კ 445603188).

ღირებულებები: 13.000/13.000 ლარი.

**14 ივლისი**, #02-21/10, ი/მ დავით ჟორჟოლაძე (#01007009042). ღირებულება - 12.000 ლარი;

**ტექნიკური ხარვეზი:** მხარეთა რეკვიზიტები ცალკე ფურცელზეა (დაუშვებელია).

- ❖ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მიერ გაფორმებულია **29 სარეკლამო** მომსახურების ხელშეკრულება (ჯამური ღირებულებით: **77.082** ლარი), ხოლო მიღებული შემოსავლება - **62.082** ლარი (იხ. **შენიშვნა #2**). (2021 წელს დადებული იყო **30 სარეკლამო** მომსახურების ხელშეკრულება - **64.295,50** ლარი). **შესაბამისად**, სარეკლამო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები შემცირებულია **2.213,50** ლარით. იხილეთ:

**დანართი N2**

#	ორგანიზაცია	შინაარსი	ხელშ. თარიღი	მომსახურების პერიოდი	თანხა (ლარი)
1	ი/მ გოჩა მოქია	სატელევიზიო რეკლამა	31.01.2022	02.02.2022-04.03.2022	3 420
2	შპს „დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი-ბათუმი“	სატელევიზიო რეკლამა	10.02.2022	14.02.2022-22.05.2022	7 200
3		სარეკლამო სიუჟეტი/პროდუქტის ინტეგრაცია	11.03.2022	13.03.2022	1 800
4	ა(ა)იპ „საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია“	რადიო რეკლამა	18.02.2022	21.02.2022-27.04.2022	1 800
5			15.11.2022	16.11.2022-16.12.2022	1 000
6	შპს „ამბოლი“	პროდუქტის განთავსება/რადიო რეკლამა	22.02.2022	05.03.2022	1 000
7			08.07.2022	09.07.2022-07.08.2022	1 000
8			09.08.2022	10.08.2022-09.09.2022	1 000
9			13.09.2022	15.09.2022-15.10.2022	1 000
10			11.10.2022	16.10.2022-14.11.2022	1 000
11	შპს „UM Georgia“	სატელევიზიო რეკლამა	22.03.2022	24.03.2022-28.04.2022	11 160
12	შპს „ბექ თუ ლაივ“	სარეკლამო სიუჟეტი	02.05.2022	04.05.2022	1 200
13	შპს „ნანომედიცინა“	სარეკლამო სიუჟეტი	11.05.2022	17.05.2022	1 200
14	შპს „საქართველოს უნივერსიტეტი“	სარეკლამო სიუჟეტი	31.05.2022	08.06.2022	1 300
15	შპს „ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესი“	პროდუქტის განთავსება	06.06.2022	08.06.2022	1 000
16	შპს „თი-ბი-ეი თეგეტა“	სარეკლამო სიუჟეტი	09.06.2022	14.06.2022	1 200
17	შპს „ექიმ ბობნოვსკის ცენტრი“	პროდუქტის განთავსება	10.06.2022	11.06.2022	1 200
18	ა(ა)იპ „საქართველოს შრომის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის ასოციაცია“	სარელევიზიო და რადიო რეკლამა	24.06.2023	25.06.2022-27.06.2022	882
19	შპს „ახალი ნათება“	სარელევიზიო რეკლამა	01.07.2022	03.07.2022-13.07.2022	6 000
20	შპს „ვილმარტი 2022“	სატელევიზიო რეკლამა	15.08.2022	18.08.2022-18.11.2022	7 200

21	შპს „დიზი“	რადიო რეკლამა	26.08.2022	29.08.2022-27.09.2022	1 800
22			05.10.2022	06.10.2022-05.11.2022	1 800
23	სსიპ აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი "ბათუმი"	სატელევიზიო რეკლამა	05.09.2022	05.09.2022-06.09.2022	320
24	შპს „ორბი ჯგუფი ბათუმი“ - (იხ. შენიშვნა #2)	სატელევიზიო და რადიო რეკლამა	15.09.2022	01.10.2022-31.03.2023	15 000
25	შპს „სამშენებლო საინვესტიციო კომპანია ვიგ“	პროდუქტის განთავსება	15.09.2022	17.09.2022	1 300
26	შპს „თეგეტა ქონსტრაქშენ ექვიფმენტ“	სარეკლამო სიუჟეტი	23.09.2022	26.09.2022	1 200
27	საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისი	პროდუქტის განთავსება	13.10.2022	15.10.2022	1 200
28	შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია piazza capital”	რადიო რეკლამა	17.11.2022	19.11.2022-19.12.2022	700
29	შპს „ლოტუს-კ“	პროდუქტის განთავსება	21.12.2022	25.12.2022	1 200
					<b>77 082</b>

**შენიშვნა #2:** 2022 წლის 15 სექტემბრის #02-23/21 ხელშეკრულება რეკლამის განთავსების თაობაზე - „დამკვეთი“ - შპს „ორბი ჯგუფი ბათუმი“ (ს/კ 445468798). ჯამური ღირებულება - 15.000 ლარი. მათ შორის:

- რადიო რეკლამის ეთერში განთავსების ჯამური ღირებულება 3.000 ლარი (კალენდარული თვე - 1.000 ლარი), მომსახურების პერიოდი: 2022 წლის 01 ოქტომბრიდან 01 ნოემბრამდე, 2023 წლის 01 თებერვლიდან 01 აპრილამდე.
- სატელევიზიო რეკლამის ეთერში განთავსების ჯამური ღირებულება 12.000 ლარი. (კალენდარული თვე - 3.000 ლარი). მომსახურების პერიოდი: 2022 წლის 01 ნოემბრიდან 2023 წლის 01 მარტამდე.

სარეკლამო მომსახურება არ გაწეულა „დამკვეთის“ მიერ ვიდეორგოლის წარუდგენლობის გამო და შესაბამისად, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მიერ ვერ იქნა მიღებული საფასური - 15.000 ლარი.

ზემოაღნიშნულ დამკვეთთან 2022 წლის 15 სექტემბერს ასევე დადებულია 35.000 ლარის ღირებულების გაცვლის ხელშეკრულება #02-27/03.

ხელშეკრულებას თან ახლავს 3 დამატებითი შეთანხმება სარეკლამო მომსახურების პერიოდების ცვლილებით (იხ. შენიშვნა #3).

აუდიტის პროცესში სარეკლამო მომსახურების ხელშეკრულებებში აღმოჩენილი იქნა ტექნიკური ხარვეზები. კერძოდ:

2022 წლის 10 თებერვლის #02-23/02 და 11 მარტის #02-23/05 ხელშეკრულებები:

„დამკვეთი“ - შპს “დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი-ბათუმი” (ს/კ 445575672).

ხელშეკრულებების ღირებულება შესაბამისად: 7.200 ლარი და 1.800 ლარი.

**ტექნიკური ხარვეზი:** დამკვეთის რეკვიზიტში არ არის მითითებული საიდენტიფიკაციო კოდი.



2022 წლის 11 მაისი, #02-23/08, შპს “ნანომედიცინა” (ს/კ 445565996). ღირებულება - 1.200 ლარი;  
 31 მაისი, #02-23/09, შპს "საქართველოს უნივერსიტეტი" (ს/კ 205037137).  
 ღირებულება - 1.300 ლარი;  
 23 სექტემბერი, #02-23/23, შპს "თეგეტა ქონსტრაქშენ ექვიფმენტ" (ს/კ 206316645).  
 ღირებულება - 1.200 ლარი.

**ტექნიკური ხარვეზი:** მხარეთა რეკვიზიტები ცალკე ფურცელზეა (დაუშვებელია).

2022 წლის 15 აგვისტოს #02-23/17 ხელშეკრულება: „დამკვეთი“ - შპს “ვილმარტი 2022” (ს/კ 445643518).  
 ღირებულება - 7.200 ლარი. მომსახურების პერიოდი: 18 აგვისტოდან 18 ნოემბრის ჩათვლით.  
 შეთანხმებით შესწორებული იქნა თანხები თვეების მიხედვით (აგვისტო - 1.040 ლარი, სექტემბერ-ოქტომბერი - 4. 800 ლარი, ნოემბერი - 1.360 ლარი).

**ტექნიკური ხარვეზი:** ხელშეკრულების მე-3 მუხლის პირველ პუნქტში თვეების მიხედვით (აგვისტო - 960 ლარი, სექტემბერი-ოქტომბერი - 4.800 ლარი, ნოემბერი - 1.140 ლარი) მომსახურებების ღირებულებები არ ემთხვევა ჯამურ ღირებულებას, 7.200 ლარს.

- ❖ 2022 წელს გაფორმებულია 1 ურთიერთგაცვლის (ღირებულება: 35.000 ლარი) და 1 თხოვნის ხელშეკრულება. იხილეთ:

**დანართი N3**

#	ორგანიზაცია	ხელშ. თარიღი	მომსახურების პერიოდი	თანხა (ლარი)
1	სსიპ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული დრამატული თეატრი (თხოვნის - მემორანდუმის ფარგლებში)	19.04.2022	19.04.2022-20.04.2022	-
2	შპს „ორბი ჯგუფი ბათუმი“ (იხ. შენიშვნა #3)	15.09.2022	01.12.2022-31.05.2023 01.12.2022-30.04.2023 01.02.2023-30.04.2023	35 000

**შენიშვნა #3:** 2022 წლის 15 სექტემბრის გაცვლის ხელშეკრულება - „დამკვეთი“ - შპს „ორბი ჯგუფი ბათუმი“ (ს/კ 445468798). მომსახურების/საქონლის ურთიერთგაცვლის ღირებულება - 35.000 ლარი.

„შემსრულებლის“ მომსახურება - სარეკლამო მომსახურება:

1.1 გასართობი გადაცემის სპონსორობა:

ა) გადაცემა „დიდი შესვენება“ - 2022 წლის 01 ოქტომბრიდან 2023 წლის 01 აპრილამდე პერიოდში 150 კალენდარული დღის ოდენობით;

ბ) გადაცემა „დილის ტალღა“ - 2022 წლის 01 ოქტომბრიდან 2023 წლის 01 აპრილამდე პერიოდში 120 კალენდარული დღის ოდენობით.

1.2 პროგრამაში პროდუქტის განთავსება/ინტეგრაცია 2022 წლის 01 ოქტომბრიდან 2023 წლის 31 მარტის ჩათვლით.

